# სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 10 ივლისი 2004 №157 (2178) ფასი 50 თეთრი


# რეალი: ბრაზები და ფრაზები

## ფლორენტინო პერესის საარჩევნო ბრუნი

## რუნი

მე თქვენ გიყიდით უეინ რუნის!

ეს სიტყვები, ოღონდ რუნის მაგიერ სხვა, დიდი, უფრო დიდი ფეხბურთელის ყიდვის დაპირებით, გადამწყვეტი აღმოჩნდა ოთხი წლის წინანდელი არჩევნებისას. 2000 წელს „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები ფლორენტინო პერესმა ერთადერთი ფრაზით მოუგო ლორენსო სანსს. პერესმა მაშინ თქვა: „მე თქვენ გიყიდით ფიგუს“. სანსს კი „სულრაღაც“ ორი ჩემპიონთა თასი უმაგრებდა ზურგს.

მას მერე ოთხმა წელმა ჩაიარა და ფიგუს გარდა პერესმა ზინედინ ზიდანი, რონალდო და დევიდ ბექემიც იყიდა. და როცა ფლორენტინო პერესმა, როგორც იქნა, შეკრიბა „გალაქტიკო“, „რეალი“ ჩაფლავდა, უეცრად აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყნად ყველაფრის მოსაგებად „გალაქტიკოს“ შეკრება საკმარისი არ იყო.

ხვალ არჩევნებია და ფლორენტინო პერესის მეტოქე ისევ ლორენსო სანსი გახლავთ, „რეალის“ ძველი პრემადენტო, ჩემპიონთა თასის ორჯერ მომგები. ახლაც, ისევ როგორც ოთხი წლის წინ, პერესი რეალელებს ჰპირდება, მე თქვენ გიყიდით... ოღონდ ახლა ცოტა სხვა ამბავია. ახლა ყველას სჯერა, რომ პერესი მყიდველია, მაგრამ რას მოაგებინებს „რეალს“ ეს შენაძენი? „რეალს“ უნდა რუნი, „რეალს“ უნდა „გალაქტიკო“, მაგრამ „რეალს“ უპირველესად თასები უნდა...

## -43 ვაი, გული ფრანგული

უიღბლოდ დაიწყეს სარაგოსაში ქართველმა ჭაბუკებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. თამაზ ოქრუაშვილის გუნდი ფრანგებთან 64:107 განადგურდა.

43-ქულიანი მარცხისას ძნელია ვინმეს გამორჩევა, მაგრამ მანუჩარ მარკოიშვილს თავისას ანუ 20 ქულას ნუ დავუკარგავთ.

ჩვენს ქვეჯგუფში იტალიამ სერბეთს მოუგო, ქართველთაგან შესარჩევ ტურნირში ძლეულმა ლატვიამ კი რუსეთი დაამარცხა.

## გიორგი გახოკიძემ მეტალურგობა გადაწყვიტა

სამარის „კრილია სოვეტოვში“ უცნაურად ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ გოგა გახოკიძე თბილისში დაბრუნდა. ბევრმა მაშინვე თქვა, გახოკიძე ჰოლანდიურ „ტვენტეში“ ბრუნდებაო, მაგრამ ჩვენებურს სხვა ვარიანტიც გამოუჩნდა. როგორც გავიგეთ, გოგა დღე-დღეზე დონეცკში ჩავა და ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგთან“ გააფორმებს კონტრაქტს.

უკრაინელთა გარდა გახოკიძეს რამენსკოეს „სატურნი“ და ერთ-ერთი გერმანული კლუბიც ეპატიჟებიან, თუმცა ფეხბურთელს გული „მეტალურგისკენ“ მიუწევს.

## მატჩი მე-3 ადგილისთვის

Alpencup 2004

## დინამო 3:2 ბრონდბიუ

1:0 კაკალაძე (14), 2:0 გონჩაროვი (48), 2:1 ფოლდგესტი (49), 2:2 ლორენცენი (80), 3:2 მელქაძე (89)

*შმიდტმა ვერ გაიტანა პენალტი (54, ძელი)*

**დინამო:** ზოიძე (მამალაძე 46), შაშიაშვილი (კანკავა 52), ლ. სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, კ. ალადაშვილი (გრიგალაშვილი 68), კაშია, ბურდული, რომერო (ხმალაძე 83), გონჩაროვი (მელქაძე 79), კაკალაძე (დვალი 90)

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

**ბრონდბიუ:** ანკერგენი, კილდენტოფტი (დ. იოჰანსენი 58), აგერი (ტ. ჰანსენი 71), პ. ნილსენი, შკარბალიუსი, რეტოვი (დაუგაარდი 58), შმიდტი, ზიმლინგი (აბსალონსენი 46), ლორენცენი, კამპერი (ფლინტა 46), ელმანდერი (ფოლდგესტი 46)

მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი

გაფრთხილება: ალადაშვილი (37), გრიგალაშვილი (77), იოჰანსენი (81), ხმალაძე (90)

2 000 მაყურებელი

ფოტო ალექსანდრე ალფაროვის

# ლაუდრუპმა გეგუჩაძეს დინამო უქო

**ვინაც** გუშინ „ევროსპორტზე" ეს მატჩი ნახა, უთუოდ შეამჩნევდა სხვაობას თბილისელთა გუშინდელ და სამი დღის წინანდელ თამაშს შორის. სამი დღის წინ, „დინამო" ავსტრიულ „ზალცბურგთან" 0:4 განადგურდა, გუშინ კი ჩვენებურებმა პირწმინდად დაჯაბნეს მიქაელ ლაუდრუპის შეგირდები.

რა თქმა უნდა, „დინამოს" თამაშში ხარვეზებიც იყო, განსაკუთრებით დაცვის ხაზი ვერ გამოიყურებოდა მთლად ყოჩაღად. სწორედ თბილისელ მცველთა შეცდომით ისარგებლეს დანიელებმა, ორივე გოლი უკანახაზელთა „ჩათვლემის" შედეგად გაიტანეს.

არადა, „დინამო" 2:0-ს იგებდა... მე-14 წუთზე მიხეილ კაკალაძემ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი კი რიკოშეტით შეფრინდა კარში.

მერეც უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ, „ბრონდბიუ" კი კონტრშეტევებზე მწარედ იჩხვლიტებოდა. ლაუდრუპმა თავიდანვე ძირითადი შემადგენლობა ათამაშა, დანიელთა დამრტყმელი ძალა ლორენცენი, კამპერი და ელმანდერი იყვნენ. სხვათა შორის, ეს ის შვედი იოჰან ელმანდერია, რომელმაც ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაიბრწყინა და ბომბარდირი გახდა, მერე კი ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა წაიყვანეს პორტუგალიაში.

პირველ ტაიმში საინტერესო სხვა არაფერი მომხდარა, მთავარი მოვლენები მეორე ნახევრის პირველ ათ წუთში მოხდა: ჯერ გონჩაროვმა 2:0 გახადა, წუთში კი შეცვლაზე შესულმა პეტერ ფოლდგესტმა ერთი გაქვითა.

54-ე წუთზე კი მსაჯმა თბილისელთა კარში პენალტი დანიშნა: რომერომ და სალუქვაძემ საჯარიმოში ერთად დაქაჩეს იმავ ფოლდგესტს, მაგრამ შტეფან შმიდტმა თანაგუნდელს გარჯა წყალში ჩაუყარა, თერთმეტი მეტრის ნიშნულიდან ბურთი ძელს გაარტყა.

დანიელებმა მამალაძის კარის აღება მაინც მოახერხეს, მათგან ერთ-ერთმა საუკეთესომ კასპერ ლორენცენმა ზურას ახლოდან დაურტყა. ზემოთაც ვთქვით, გოლი მცველთა შეცდომას მოჰყვა.

ტურნირის რეგლამენტით, თუ მატჩი ფრედ და სრულდებოდა, პირდაპირ პენალტების სერია უნდა დაწყებულიყო, მაგრამ 89-ე წუთზე გრიგალაშვილმა ჩინებული პასით კაკალაძე ანკერგენს ლამის პირისპირ შეატოვა, მოიერიშეს მეკარე ფეხებში ჩაუხტა და კარში ნორმალურად დარტყმის საშუალება არ მისცა. კაკალაძემაც ვარდნაში თავზე გადაუგდო ბურთი, მას ადევნებულმა მელქაძემ კი ცარიელ კარში შეაგორა.

ნამატჩევს ორივე მწვრთნელმა აღნიშნა, შეკრებაზე ასეთი თამაშით, კმაყოფილები ვართო. მიქაელ ლაუდრუპს თბილისელთა თამაში მოსწონებია, საინტერესო გუნდიაო. გია გეგუჩაძემ კი დასძინა, ამხანაგურ მატჩებს სხვა მოთხოვნა და დატვირთვა აქვს, ხან კარგად ვთამაშობთ, ხან ცუდად, მთავარია, ოფიციალურ მატჩში არ დავუშვათ უხეში შეცდომებიო.

რაც შეეხებათ დაშავებულ ზოიძეს და შაშიაშვილს, „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძის თქმით, ზოიძეს ნატკენი მუხლი ოდნავ გასიებია, თუმც არც მისი და არც შაშიაშვილის ტრავმა სერიოზული არ არის.

„დინამო" დღეს ფრანკფურტში გაფრინდება და იქიდან შინ დღესვე დაბრუნდება.

„ალპენ კაპი" კი თურქულმა „ბეშიქთაშმა" მოიგო. ვისენტე დელ ბოსკეს გაწვრთნილებმა გუშინვე ფინალში მასპინძელი „ზალცბურგი" პენალტებით 3:1 დაამარცხეს.

**გიორგი მაჟაკიძე**

## ამხანაგური მატჩი

ფოტო ალექსანდრე ალფაროვის

**თითქოს რაღა უნდა გატანას, მაგრამ... ბესიკ თედორაძემ (№9) სერგო ორბელაძეს ბურთი ვერ ააცილა**

# ამხანაგობაში შეიძლება შეგეშალოს, მერე...

**გუშინ** „თბილისმა" მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა. უეფას თასზე აზერბაიჯანულ „შამქირამდე" გიორგი დევდარიანი შეგირდებს მეტად აღარ დატვირთავს და, ცხადია, გუშინდელი სპარინგი „ბათუმთან" გენერალურ რეპეტიციად მოინათლა.

ერთი რამ აშკარაა, „თბილისს" ჯერაც უჭირს სწრაფი, კომბინაციური თამაში, რაც მოულოდნელი სულაც არაა. ფეხბურთელები ხომ აქამდე დიდი დატვირთვებით ვარჯიშობდნენ და, წესით, ჯანი აწი უნდა მოვიდეს.

შეხვედრის აღწერამდე გუნდების შემადგენლობებს გაგაცნობთ:

***თბილისი:*** *დევაძე, ქემოკლიძე, ორბელაძე, გეწაძე, მესხი, გ. ნუგ. ჭელიძე, გოგუა, აფციაური, დ. ოდიკაძე, ხოჯავა, მიქაძე.* შეცვლაზე ითამაშეს *ჯიქიამ, სამხარაძემ, ი. მოდებაძემ, მიკუჩაძემ.*

***ბათუმი:*** *ბალაძე, ექონია, გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, ქაცარავა, სიჭინავა, მახარაძე, მანჩხავა, დარჩიძე, ფირცხალაიშვილი, გ. ნოდ. ჭელიძე.* შეცვლაზე ითამაშეს *ხომერიკმა, ბესიკ თედორაძემ, რამიშვილმა, ცანავამ, ი. შენგელიამ, ფურცხვანიძემ.*

მატჩი „თბილისის" უპირატესობით დაიწყო. გიორგი დევდარიანის გუნდი უფრო მეტს და მწვავედ უტევდა, თუმც აქა-იქ ბათუმელებმაც გამოიღეს ხელი. თორნიკე აფციაურს, გიორგი მიქაძეს და გოგიტა გოგუას თავიდანვე შეეძლოთ გატანა. სტუმრები კი კონტრშეტევების იმედად იყვნენ.

საინტერესოა, რომ „ბათუმში" ექსთბილისელი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე თამაშობდა და თავის ყოფილ გუნდს ლამაზი გოლიც გაუტანა, თუმც ეს მეორე ტაიმში მოხდა. მანამდე კი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ დააკვრევინა მცირერიცხოვან გულშემატკივარს ტაში — გოგუას ჩაწოდებულს „ნუგზარიჩმა" ულამაზესი თავური მიაყოლა და ბათუმელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

მეორე ჭელიძის გოლი კი 57-ე წუთზე გავიდა, როცა იგი აკაკი დევაძესთან პირისპირ გავიდა და ზუსტი დარტყმით მარჯვენა კუთხეში ჩასვა ბურთი.

თამაში ამის შემდეგღა გაიხსნა — გუნდებმა ერთმანეთის კარისკენ გაიწიეს და მომენტებიც თავზესაყრელად შეიქმნა. ყველაზე თვალში საცემი კი ის იყო, რომ შეტევაში წასულ „თბილისს" ზურგი მოუშიშვლდა და ბათუმელებს უფრო ჭკვიანურად რომ ეთამაშათ, უთუოდ დასჯიდნენ მეტოქეს.

აქვე ერთ მომენტზე რომ არ ვთქვათ, არ იქნება: ბესიკ თედორაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, ბევრი ფიქრის მერე აკაკი დევაძეც მოატყუა და... სამი-ოთხი მეტრიდან ცარიელ კარში მდგარ სერგო ორბელაძეს გაარტყა ბურთი. არადა, ყველაფერზე თვალი რომ დავხუჭოთ, გვერდით ორი თანაგუნდელი ეხსნებოდა.

**ძაბა შალამბერიძე**

### ირლანდია

**პრემიერლიგა. XX ტური**

ბოჰემიანსი 2:2 უოტერფორდი

დროჰედა 0:2 სენტ პატრიკსი

შემროკი — ჯორჯ სიტი გადაიდო

### ავსტრია

**სუპერთასის ფინალი**

გრაცერი ¼ დ.(პენ.2:4, 1:1) აუსტრია

### ამხანაგური მატჩები

იაპონია 3:1 სლოვაკეთი

ბეშიქთაში 0:0(პენ.3:1) ზალცბურგი

იანგ ბოისი 3:2 კაიზერსლაუტერნი

ბაზელი 3:0 შალკე

# ჩვენი ხერხი შეტევაა

ბადრი ჯუმილაძის ფოტო

## თბილისში უპომპლექსო ახალგაზრდობაა

*გიორგი მიქაძეს წამყვანი თბილისური კლუბების კოლექცია დაუგროვდა — „დინამო“, „ლოკომოტივი“ და ახლა „თბილისი“. მისი თამაში წლიდან წლამდე იხვეწება, გასულ სეზონში მიქაძე რკინიგზელთა გამორჩეული ფეხბურთელი იყო, დამდეგ ეროვნულ ჩემპიონატში კი მან „თბილისისთვის“ უნდა შეუტიოს. მოსამზადებელ ეტაპზე ის თავის ამოცანას პირნათლად ასრულებს და, ფაქტობრივად, ყველა შეხვედრაში გააქვს. გუშინ გიორგი მიქაძეს ახალ კლუბსა და დამდეგ სეზონზე ვესაუბრეთ*

**— თავს როგორ გრძნობ ახალ გუნდში?**

— ნორმალურად. ჩემთვის უცხო ბევრი არავინ ყოფილა. ბიჭებმაც კარგად მიმიღეს და საერთო ვითარებასაც მშვენივრად მოვერგე.

**— „თბილისის“ სათამაშო მანერა შენთვის ზედგამოჭრილია...**

— ბურთის კონტროლი „თბილისს“ ერთ-ერთი ღირსებაა. მეც ასეთი ყაიდის ფორვარდად ვითვლები. ამიტომ, ვფიქრობ, ამ გუნდში ჩემს სიტყვას აუცილებლად ვიტყვი. აქ ყველა პირობაა, რათა საუკეთესო სეზონი ჩავატარო, თანაც ამის დროც არის.

**— შეკრებისას რამდენიმე პოზიციაზე მოგიწია თამაშმა, შენთვის საუკეთესოდ რომელს თვლი?**

— ამას ახლა გადამწყვეტ მნიშვნელობას არც ვანიჭებ. სადაც დამაყენებენ, ყველგან ვითამაშებ. ვარჯიშებიც ისეთი გვაქვს, რომ უნივერსალობას ვეჩვევით. ვფიქრობ, თამაშის მანერით და ტემპით „თბილისი“ ყველაზე ახლოსაა თანამედროვე ფეხბურთთან.

**— რითი განსხვავდება „თბილისი“ შენი ძველი კლუბებისგან?**

— ბევრით, თუმცა ყველა გუნდს თავისი პლუსი ჰქონდა. მე „დინამოშიც“ და „ლოკომოტივშიც“ ბევრი ვისწავლე, გამონაკლისი ალბათ არც „თბილისი“ იქნება.

**— დამდეგ ჩემპიონატში რისი მიღწევა შეგიძლიათ?**

— ჩემპიონობაზე ვფიქრობთ და, მგონი, ამის ძალაც შეგვწევს. ლიდერებში რომ ვიქნებით, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— „თბილისს“ თავისებური ხელწერა აქვს, როგორ ფიქრობ, რა არის ამის საფუძველი?**

— ალბათ ის, რომ გუნდში საკმაოდ ნიჭიერი და ჭკვიანი ფეხბურთელები არიან, რომლებსაც კარგად ესმით საფეხბურთო ნიუანსები. გარდა ამისა, სხვებზე უფრო გუნდურად ვთამაშობთ.

**— „თბილისში“ ძველი თანაგუნდელებიც დაგხვდნენ...**

— კოკა მიკუჩაძესთან მოედანზე არანაირი პრობლემა არ მექნება. ის ჩემთვის სასურველი პარტნიორია. დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი სამხარაძეც იტყვის თავის სიტყვას და „თბილისს“ გამოადგება.

**— უეფას თასზე თამაშს აზერბაიჯანული „შამქირით“ იწყებთ, შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსები „თბილისს“ უკეთესი აქვს?**

— მგონია, რომ უნდა მოვიგოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. თუმცა ფაქტია, რომ სრული მობილიზაციის გარეშე „შამქირს“ ვერ დავამარცხებთ.

**— გამოცდილ ფეხბურთელებზე ბევრი იქნება დამოკიდებული...**

— ზეგამოცდილი ფეხბურთელები არც ჩვენ ვართ, ერთადერთი, რევაზ ქემოკლიძე შეიძლება გამოვარჩიო. ძალიან კარგია, რომ გივი კვარაცხელია დაგვიბრუნდა, თუმც, დარწმუნებული ვარ, არც ახალგაზრდა ფეხბურთელები დაკომპლექსდებიან.

**— „თბილისმა“ წარმატების მისაღწევად როგორი ფეხბურთი უნდა ითამაშოს?**

— შემტევი, ეს ამ გუნდს ყველაზე უკეთ ეხერხება. „თბილისზე“ ჩემი არჩევანიც ამიტომ შევაჩერე. როგორც იქნა, გამოკვეთილად შემტევ გუნდში მოვხვდი.

**დავით ერაძე**

# ჰაინკესი კობიაშვილს ნახევრად ამცველებს

ლევან კობიაშვილის „შალკემ“ მორიგი ამხანაგური მატჩი ითამაშა და 13:1 მოუგო ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდს. კობიაშვილმა 90 წუთი ითამაშა, „შალკეს“ თავკაცმა იუპ ჰაინკესმა ის ნახევარდაცვაში გაამწესა. მანამდე „ხუმარები“ შვეიცარიულ „იანგ ბოიზს“ ეპაექრნენ და ფრეს დასჯერდნენ — 2:2. კობიაშვილმა მაშინ შეცვლაზე ითამაშა ბოლო შვიდი წუთი, რადგან გრიპისგან ახალგამოჯანმრთელებული იყო.

შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ სეზონი ადრე დაიწყება — 17 ან 18 ივლისს ინტერტოტოს მეოთხედფინალის პირველ შეხვედრას ითამაშებს.

*ცოტაც და „თბილისი“ უეფას თასის პირველ მატჩს გამართავს აზერბაიჯანულ „შამქირთან“. ჩვენი მეზობლები საამმატჩოდ რა ხანია, ემზადებიან და შემადგენლობის გაძლიერებაზეც ზრუნავენ, თუმც ხაერთო აზრით, შემდეგ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი მაინც „თბილისს“ აქვს, რასაც თავად აზერბაიჯანულებიც აღიარებენ.*

*„შამქირის“ მოთამაშე-მწვრთნელ ბადრი კვარაცხელიასთან ინტერვიუ უეფას თასის წილისყრის დასრულებისთანავე შემოგთავაზეთ, თუმც ჩვენებურს გუშინაც შევეხმიანეთ და შამქირელთა ამბები შევიტყვეთ...*

# გურჯი იოხ!

## კვარაცხელიას შამქირ-ამქარი: ერთი ზანგი და სამი ავტობუსი

**— როგორ ემზადებით საუეფასთასოდ, კმაყოფილი ხართ?**

— საგანგებო არაფერია, ჩვეულებრივად ვემზადებით. ქალაქიდან არ გავსულვართ, აქვე ჩვენს ბაზაზე ვვარჯიშობთ.

**— ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა?**

— კი, ახლა უკეთაა საქმე. საწუწუნო აღარ გვაქვს.

**— აბა, შეკრებაზე რატომ არ წახვედით?**

— როგორ გითხრათ... ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აქვე მოვმზადებულიყავით და ჩვენც დავთანხმდით.

**— ახალი ფეხბურთელები თუ არიან „შამქირში“?**

— რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ. ზოგმა „შამქირი“ სეზონის დასრულებისთანავე დატოვა და მათი დაბრუნება მოვახერხეთ, ზოგიც სხვა აზერბაიჯანული კლუბებიდან გადმოვიბირეთ.

**— ქართველების წაყვანასაც აპირებდით...**

— ვაპირებდით, მაგრამ მერე თავი შევიკავეთ. როცა გაირკვა, რომ „თბილისს“ ვეთამაშებით, ქართველი ფეხბურთელების დამატება გადავიფიქრეთ.

**— ესე იგი, მხოლოდ აზერბაიჯანელები დაიმატეთ?**

— არა, ერთი ზანგიც მოვიყვანეთ. სადღაც ნახეს ნიგერიელი ფეხბურთელი, აქაურ კლუბში თამაშობდა, მაგრამ მე ნაღდად არ მახსოვს მისი თამაში. არა უშავს, ბოლოს და ბოლოს, ხალხს მაინც გავახალისებთ...

**— თქვენ რატომ ვერ ითამაშებთ „თბილისთან“?**

— ადრე წითელი ბარათი მივიღე და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს. მას შემდეგ ევროტურნირებზე არ გავსულვართ და ეს დისკვალიფიკაციაც, ცხადია, დამრჩა. ასე რომ, „თბილისთან“ ჩემი თამაში გამორიცხულია.

**— თბილისური სიცხე თქვენთვის მაინცდამაინც ხელისშემშელელი არ უნდა იყოს...**

— მაგას დიდ ყურადღებას არც ვაქცევთ. თბილისში 14 ივლისს ჩამოვალთ. თან, როგორც ვიცი, საპასუხო მატჩი უფრო ადრე დაიწყება და სიცხე მერე ნახეთ...

**— ამხანაგური მატჩები თუ ითამაშეთ?**

— ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბს შევხვდით სამჯერ — ერთი მოვიგეთ და ორი ფრედ დავასრულეთ. სხვათა შორის, ბოლო მატჩს „თბილისის“ წარმომადგენლებიც დაესწრნენ და ფირზე გადაიღეს. როგორც ვიცი, „თბილისი“ ძალიან სერიოზულად ემზადება ჩვენთან სათამაშოდ.

**— იმედი თუ გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. ფეხბურთში უიმედობა როგორ შეიძლება?! თუ მოვინდომებთ, შემდეგ ეტაპზე გასვლა შეუძლებელი სულაც არ იქნება.

**— როგორც გავიგეთ, მანდ დიდი ინტერესი გამოუწვევია „თბილისთან“ მატჩს...**

— ინტერესი მართლაც იგრძნობა. ხალხი ვარჯიშებზეც დადის, აინტერესებთ, რა ხდება გუნდში, როგორ ვემზადებით. როგორც მითხრეს, ორი-სამი ავტობუსით თბილისშიც აპირებენ გულშემატკივრები ჩასვლას. ყველა გასვლით მატჩზე დაგვყვებიან და არ გამიკვირდება, თბილისშიც თუ წამოვლენ.

**ძახა შალამბერიძე**

# ინჟინრების ქვეყანა



ვაჟას დელეგაციის ფოტო

## დალიე სახლში და ჩაიცვი დაეი

*ირანის თასის მომგები ექსვიტჯორჯიელი მცველი ჯაბა მუჯირი შინ დაბრუნდა — სპარსეთში საფეხბურთო სეზონი დასრულდა და ჯაბა შვებულებას ჯერჯერობით თბილისში ატარებს. ისპაჰანის „სეპაჰანში“ მუჯირი რეგულარულად თამაშობდა. „სეპაჰანმა“ ჩემპიონობის შენარჩუნება ვერ შეძლო, მაგრამ თასის აწევით აზიის ჩემპიონთა ლიგაში მაინც ითამაშებს. თბილსში მყოფ მუჯირს კი ინტერვიუ ჩამოვართვით*

**— ირანში გატარებული ერთი წელი — როგორია შენი შთაბეჭდილებები?**

— თავიდან უკმაყოფილო ვიყავი, „სეპაჰანი“ წინა სეზონში ჩემპიონი გახდა, ხოლო მე რომ იქ გადავედი, გუნდი მხოლოდ მეექვსე ადგილზე გავიდა. კარგია, თასი რომ მოვიგეთ და პირველი ირანული სეზონითაც საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ.

**— საფეხბურთო დონე როგორია ირანში, შეადარებდი მას ქართულ ფეხბურთს?**

— ირანი ევროპა არაა, მაგრამ საქართველოს გაცილებით ჯობია საფეხბურთო ინფრასტრუქტურით და დონით.

**— ირანში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

— თავიდან გამიჭირდა, მაგრამ ისპაჰანში ოჯახთან ერთად წავედი და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სახლში. ირანში გასართობი ადგილები არ არის, მაგრამ ასეთ რამეებს მაინცდამაინც არც თბილისში ვეძალებოდი. ირანული რესტორნები ქართულს არ ჰგავს, იქ სასმელს ვერ შეუკვეთავ, თუმც ირანში სასმელი იყიდება და ვისაც დალევა უნდა, სახლში სვამს.

**— „სეპაჰანში“ ერთი ფერეიდანელი ქართველიც თამაშობს...**

— მას მაჰმუდ კარიმი ჰქვია, თუმც მითხრა, გვარად გოგიჩაშვილი ვარო. ფერეიდანელი ქართველები ქართულ გვარებს არ ატარებენ, ქართული გვარით სამსახურში მოწყობა ძალიან გაგვიჭირდებაო. კარიმი ისპაჰანშია გაზრდილი და ქართული ძალიან ცუდად იცის, დედამისი, და-ძმა და მეუღლე კი ქართულად კარგად ლაპარაკობენ. ირანში მოთამაშე ფეხბურთელებიდან ფერეიდანელი ქართველი სხვა არავინაა.

**— შენ სპარსულად კარგად ლაპარაკობ?**

— სპარსული უკვე ვისწავლე, არაა ძნელად ასათვისებელი ენა, მისი სწავლა მასწავლებლის გარეშე მოვახერხე.

**— ირანის ჩემპიონატში ყველაზე ძლიერ ფეხბურთელად ვინ ითვლება?**

— ასეთი ჩემი თანაგუნდელი მოჰარამ ნავიდკიაა — მომდევნო სეზონიდან ის ბუნდესლიგის „ბოხუმში“ ითამაშებს. ნავიდკიას ჯვარედინი იოგები გაუწყდა, მაგრამ „ბოხუმმა“ მაინც გააფორმა მასთან კონტრაქტი — ჩამოდი და ჩვენ გიმკურნალებთო. ნავადკია ძალიან ძლიერი გამთამაშებელია.

**— ირანში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი რომელია?**

— ადრე ასეთი ალი დაეი იყო, ახლა კი ყველაზე პოპულარული ვაჰად ჰაშემიანი გახლავთ. თუმც ჰაშემიანი ირანის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს. როცა ჰაშემიანი მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა, მაშინ არ იწვევდნენ ნაკრებში და ამის გამო ახლა თვითონ უარობს ნაკრებში თამაშს.

**— განათლებით ინჟინერი ალი დაეი პოპულარული აღარ არის?**

— ის „პერსპოლისში“ თამაშობს და გოლები გააქვს. დაეიმ სპორტული ინვენტარის ფირმა შექმნა, ირანის სპორტულ ბაზარზე 70 პროცენტი სწორედ ფირმა „დაეის“ უჭირავს. რაც შეეხება ინჟინრობას, ის ირანში ყველაზე გავრცელებული და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პროფესიაა.

**— ყველაზე მეტი გულშემატკივარი რომელ გუნდს ჰყავს?**

— ყველაზე მეტი ქომაგი თეირანულ დერბიზე დადის, როცა ერთმანეთს „პერსპოლისი“ და „ესტეგლალი“ ხვდებიან. ადრე 120 ათასი კაცი დადიოდა მათ თამაშზე, ახლა დაახლოებით 70 ათასი.

**— როგორც ფეხბურთელს, რა შეგძინა ირანში გატარებულმა ერთმა წელიწადმა?**

— გაცილებით უკეთ ავთამაშდი, ვიდრე საქართველოში, რადგან მეტი შესაძლებლობა მომეცა, მარცხენა ფლანგიდან ხშირად შემეტია. „სეპაჰანში“ ფლანგურ ჯარიმებსაც მე ვასრულებდი.

**— გოლი კი ირანში ერთხელაც ვერ გაიტანე...**

— ეს გამართლების საკითხია, თორემ მომენტები მქონდა. სამაგიეროდ, რამდენიმე საგოლე პასი გავახერხე.

**— სეპაჰანელი თანაგუნდელები როგორი ბიჭები არიან, მათთან ახლო ურთიერთობა გაქვს?**

— თანაგუნდელებთან ნორმალურად ვარ, თუმც ამას ახლო ურთიერთობას ვერ დავარქმევდი. ყველაზე ახლოს „სეპაჰანის“ სომეხ ლეგიონერ ლევონ სტეპანიანთან ვარ, თუმც ის უკვე რვა წელია, რაც „სეპაჰანში“ თამაშობს და ლეგიონერად აღარ თვლიან.

**— ქართულ ფეხბურთზე თუ იციან რამე ირანში?**

— კალაძის გარდა ჩვენზე არაფერი არ იციან.

**დავით თავართქილაძე**

# აქ სიმშვიდეა

## ვლადიკავკაზში ფეხბურთელს ბუზი არ აუფრინდება

*ვლადიკავკაზის „ალანია“ მორიგ მატჩს 17 ივლისს მოსკოვში, ადგილობრივ „დინამოსთან“ გამართავს. შესაძლოა, ეს დრო საკმარისი გამოდგეს იმისთვის, რათა ახალტრავმამოშუშებული ვიტალი დარასელია მოედანს დაუბრუნდეს. როდესაც გუშინ ვიტალის შევეხმიანეთ, საუბარი არასაფეხბურთო თემით დავიწყეთ...*

**— გეცოდინება, რაც ხდება სამაჩაბლოში, აქაურ მოვლენებს ვლადიკავკაზში რა გამოძახილი ჰქონდა?**

— ფაქტობრივად, არავითარი. ბუნებრივია, ტელევიზიით იქ მიმდინარე მოვლენებს კი აშუქებენ, მაგრამ რაღაც ისეთი განწყობა, რომ იარაღი ავისხათ და ვიბრძოლოთ, ნაღდად არ შეინიშნება.

**— არც მანდ მოთამაშე ქართველებს შეგქმნიათ რაიმე პრობლემა?**

— საერთოდ, ვლადიკავკაზში სულ სხვა ხალხი ცხოვრობს. აქ ქართველებს პატივს სცემენ. თანაც ფეხბურთელებისადმი მათი დამოკიდებულება ყოველთვის განსაკუთრებული იყო. აქაც იციან, რომ ჩვენი ურთიერთდაპირისპირება სხვას სჭირდება და ვისაც ეს არ სჯერა, სულელებს ეძახიან. მოკლედ, აქ მშვიდობაა და უბრალო ოსებს ასეც უნდათ, რომ იყოს.

**— 17 ივლისამდე საკმაო დროა. მანამდე ათამაშებას და ძირითადში ადგილის დამკვიდრებას მოახერხებ?**

— ჩვიდმეტამდე კვირაზე ცოტა მეტია დარჩენილი და არა მგონია, ეს დრო ფორმის აღსადგენად არ მეყოს. პატარა შანსიც რომ მქონდეს, ვიცი, კურბისი აუცილებლად მათამაშებს.

**— ტრავმის გამიზეზება არასწორი მკურნალობის ბრალი იყო?**

— არა. ფაქტობრივად, უკვე გამოვჯანმრთელდი, რომ ერთ-ერთ ვარჯიშზე იგივე ფეხი გადამიბრუნდა. თუმცა ახლა ყველაფერი კარგადაა და გუნდთან ერთად ბოლომდე ვიტვირთები.

**— ყველაშვილი როგორ შეეწყო ახალ კლუბს?**

— ეტყობა, რომ განსხვავებულ ჩემპიონატში თამაშობდა და საბოლოო ადაპტაციისთვის მაინც დრო სჭირდება. თუმცა მისი გამოცდილების მქონე ფეხბურთელს, ვფიქრობ, ეს არ უნდა გაუჭირდეს. საერთოდ კი, ძალიან მონდომებულად მუშაობს, პროფესინალია და იცის თავისი საქმე.

**— ალბათ „ზენიტთან“ მარცხის შემდეგ კურბისი ცვლილებებსაც მიმართავს...**

— ის თამაში გუნდმა ნაღდად კარგად ჩაატარა და წაგება კი არა, მოგებაც თავისუფლად შეგვეძლო, თუმცა სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ კიდეც.

**დავით ერაძე**

# ასათიანი დიდ დასვენებას გადაშრჩა

მალხაზ ასათიანი გადარჩა. მოსკოვის „დინამოსთან“ გუშინწინდელ მატჩში დაშავებული ქართველი ფეხბურთელი ექიმებმა გასინჯეს და პირველადი დიაგნოზიც გაქარწყლდა.

შეგახსენებთ, რომ ნამატჩევს „ლოკომოტივის“ თავკაცმა იური სიომინმა ივარაუდა, მგონი, ასათიანს კუნთი გაუწყდაო და ასეთ შემთხვევაში ჩვენებური სულ მცირე ორი კვირით ჩამოშორდებოდა ფეხბურთს. ახლა კი გაირკვა, რომ ასათიანს რამდენიმედღიანი მკურნალობა დასჭირდება და შესაძლოა, მომავალ ტურში „კრილია სოვეტოვთანაც“ ითამაშოს.

**ძახა შალამბერიძე**

# მეტალურგმა დაის-ვენა

**ჯამარაულ-დემეტრაძის** „მეტალურგი“ ავსტრიაში ემზადება საახალსეზონოდ. მოგეხსენებათ, დემეტრაძემ დონეცკში დარჩენა გადაწყვიტა და გუნდს შეკრებაზეც გაჰყვა, ჯამარაული კი ისედაც არ აპირებდა სადმე გადაბარგებას.

გუშინწინ „მეტალურგმა“ სერბ სლავოლიუბ მუსლინის თავკაცობით პირველი მატჩი გამართა — პოლონურ „გროცლინს“ ამხანაგურად გაეჯიბრა. დონბასელებმა მეტოქე 1:0 დაამარცხეს. გოლი ივან სტოლიცამ 65-ე წუთზე პენალტით გაიტანა.

გიორგი დემეტრაძე და გოჩა ჯამარაული მუსლინმა ძირითადში დააყენა, მაგრამ ორივე შეცვალა: გიორგი 45-ე წუთზე, გოჩა კი 63-ზე. მატჩის შემდეგ კი სერბმა ჟურნალისტებს უთხრა, ქართველი ლეგიონერების თამაშით კმაყოფილი ვარო.

ამასობაში ნავარჯიშებ-ნათამაშები „მეტალურგი“ მძიმე დატვირთვებს ექსკურსიებით იმსუბუქებს — მუსლინმა შეგირდები ავსტრიის დედაქალაქ ვენაში წაიყვანა და ქალაქის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინა.

შეგახსენებთ, რომ დონეცკელებს ახალ სეზონში უკრაინის ჩემპიონატის გარდა უეფას თასის მატჩებიც ელით.

**ძახა შალამბერიძე**

# საინტერესო მწვრთნელი

## მანჩო საძმოს იპრებს

„ინტერის“ ახალი მწვრთნელი რობერტო მანჩინი მეტად მოწადინებულია მილანელ „შავ-ლურჯთა“ კლუბი კვლავ დიადი გამარჯვებების გზაზე რომ შეაყენოს. თავისი ენთუზიაზმი მანჩომ ოფიციალურ პრეზენტაციაზე წარმოაჩინა:

„დარწმუნებული ვარ, რომ ცუდი თამაშით გამარჯვება ძნელი საქმეა, მე აქ გამარჯვებისთვის მოვედი, მაგრამ ჩემი ამოცანა ამასთან ერთად კარგად თამაში და ხალხისთვის სანახაობის შეთავაზებაა. თუ ეს მოხდება, შედეგი ავტომატურად მოვა“.

„ლაციოს“ ყოფილმა მწვრთნელმა „ინტერთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი ჯამაგირი წელიწადში 3,24 მილიონი ევრო იქნება.

„აქ გადმოსვლა ჩემთვის იდეალური ნაბიჯი იყო. მე დავიწყე მუშაობა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიადეს კლუბში, რომელსაც მოგება სურს და ჩემი მიზანიც სწორედ ეს არის. ამასთან დიდი მადლობა მინდა ვუძღვნა „ლაციოს“. რომში თავს ბედნიერად ვგრძნობდი და ვწუხვარ, იქაური ქომაგების ერთმა ნაწილმა ჩემი სხვაგან წასვლა რომ განიცადა. მინდა მათ მივმართო და ვუთხრა, რომ არ მიღალატია. მსურს დიდი სიმპათია გამოვხატო „ლაციოს“ ხელმძღვანელთა, მოთამაშეთა და ტიფოზების მიმართ“.

რაც შეეხება „ინტერის“ აწყობას, მანჩომ განაცხადა, რომ გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მისი ახლო მეგობარი კრისტიან ვიერი იქნება.

„ის ინტერელი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი გახლავთ. მისი და ადრიანოს თანაარსებობა კი სრულიად შესაძლებელია. აბა, მითხარით, მსოფლიოს რომელი კლუბი გაყიდის ფეხბურთელს, რომელსაც მოწინააღმდეგის გაძლიერება შეუძლია? ვიცი, კრისტიანი ევროპის ჩემპიონატზე განცდილს ჯერ კიდევ ვერ იღწყებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ინტერში“ კარგად თამაშის სტიმული ჭარბად ექნება. ჩვენი დონის ფეხბურთელები ერთ-ორ კლუბს თუ ეყოლება. ახლა ერთადერთი, ჩემი ამოცანაღაა გადასაწყვეტი. მე უნდა შევარჩიო შემადგენლობა სწორად“.

შემდეგ მანჩინის ურუგვაელი ალვარო რეკობას შესახებ ჰკითხეს. მოგეხსენებათ, რეკობას მორიგი სეზონი ჩაუვარდა.

„ის ვიერის, ადრიანოს, ვერონის და სტანკოვიჩის დონის ფეხბურთელია, რომელსაც თამაშის მოგება შეუძლია. ერთადერთი, რაც ახლა მას სჭირდება, დამშვიდება და თავისი ნამდვილი შესაძლებლობების გამომჟღავნებაა. ჩვენთვის რეკობას გუნდში ყოლა დიდი სიამოვნებაა და ჩემი ხელმძღვანელობით მას კარიერის საუკეთესო სეზონი ელის“.

მოგეხსენებათ, მანჩინისთან ერთად მილანის „შავ-ლურჯ“ სამყაროში ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდებიან. საუბარია ედგარ დავიდსზე, ზე მარიაზე და ვინ იცის, სინიშა მიხაილივიჩზეც, რომელიც მანჩოს „ლაციოში“ ჰყავდა.

„სინიშა ინტერელი ჯერ არ არის. ვნახოთ, მისი საქმიდან რა გამოვა. კლუბი სატრანსფერო ბაზარზე ჯერ კიდევ მუშაობს. ცხადია, ვიღაცეები წავლენ კიდეც, აბა, როგორ შეიძლება ფეხბურთელი მთელი სეზონი ტრიბუნაზე ან თუნდაც სათადარიგოთა სკამზე იჯდეს“.

**პაპუნა კედია**

# შჰან, იტალიისჰენ

## კრესპოს მილანი უნდა

ბოლო იტალიური ცნობების მიხედვით, სრულიად შესაძლებელია ერნან კრესპომ „ჩელსი“ დატოვოს და „მილანში“ გადავიდეს. როგორც ჩანს, „შავ-წითლების“ დირექტორს, არიედო ბრაიდას ფეხბურთელის აგენტთან ულაპარაკია.

გასაგებია, რომ ლონდონურ კლუბს არგენტინელის გაყიდვა სურს, ხოლო „მილანი“, თავის მხრივ, კრესპოს ყიდვით მეოთხე თავდამსხმელის პრობლემას მოაგვარებდა. მოგეხსენებათ, იტალიის ჩემპიონს თავის განკარგულებაში ჰყავს ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი და იონ დალ ტომასონი.

საინტერესოა, რომ კრესპო „ჩელსის“ ახალ მწვრთნელს, ჟოზე მაურინიუს არ შეხვდა. მართალია, შემდეგ მან განაცხადა, ინგლისში სიამოვნებით დავრჩებოდიო, მაგრამ იტალიური პრესა-ტელევიზიის თქმით, ეს ყველაფერი ტყუილია, მით უფრო, რომ „მილანიდან“ ბრაზილიელი როკე ჟუნიორის წასვლამ არაევროკავშირელისთვის გაათავისუფლა ადგილი.

ერთადერთი შესაძლო პრობლემა კრესპოს ხელფასია. „პარმაში“, „ლაციოსა“ და „ინტერში“ ნათამაშები არგენინელი „სტემფორდ ბრიჯზე“ სეზონში 3,5 მილიონ გირვანქას იღებდა. „მილანი“ სავარაუდოდ, 2,2 მილიონს შესთავაზებს.

შეგახსენებთ, რომ „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კრესპოს დიდი პატივისმცემელი კაცია. ისინი ერთად „პარმაში“ მუშაობდნენ.

**პაპუნა კედია**





# ნუ გააცივებ სადილს

## კაპელოს ტურინული კულინარია

„იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა, ლუჩანო მოჯიმ „ბებერი ქალბატონის“ საზაფხულო-სატრანსფერო გეგმებზე ილაპარაკა. მოგეხსენებათ, დღე ისე არ გავა, პრესამ „იუვენტუსი“ რომელიმე ახალ ფეხბურთელს არ დაუკავშიროს. მაგრამ მოჯიმ თავის გამოსვლაში კლუბის მიზნები შეძლებისდაგვარად დააკონკრეტა. კერძოდ, დირექტორმა თქვა, რომ ტურინელთა ანკესი მომართულია რომაელი ბრაზილიელის, ემერსონის, უდინელი ჩეხის, მარეკ იანკულოვსკის და ლაციოელი მასიმო ოდოსკენ.

„ფულს მხოლოდ ემერსონში გავიღებთ. იანკულოვსკის და ოდოს კი გავცვლით“ — ბრძანა მოჯიმ.

რამდენადაც ცნობილი გახდა, „უდინეზე“ იანკულოვსკის სანაცვლოდ ენცო მარესკას და მატეო ბრაგის ითხოვს, ხოლო „ლაციოს“ ოდოს სანაცვლოდ იულიანოს შესთავაზებენ.

ტურინელებზე იმასაც ამბობდნენ, პარმელი ცენტრალური მცველის, დანიელე ბონერას ყიდვა უნდათო, მაგრამ მოჯიმ ბრძანა: „ჩვენ ბონერა არ გვჭირდება“.

იყო აგრეთვე ლაპარაკი, რომ „ბებერი ქალბატონი“ „ინტერს“ ფაბიო კანავაროს სთხოვდა, ხოლო თავის მხრივ, თავდამსხმელ მარკო დი ვაიოს იძლეოდა, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ეს ვარიანტი ფაბიო კაპელომ ჩაშალა.

მოჯის ჰკითხეს კრისტიან ვიერის და ედგარ დავიდსის შესაძლო დაბრუნებაზეც. პასუხად კი ლამაზად ნათქვამი მოისმინეს:

„ისინი აქ უკვე იყვნენ, შემობარი სადილი კი გემრიელი აღარ არის“.

და ბოლოს ალბერტო ჯილარდინოს შესახებ:

„ის დიდი და ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელია. მომავალში, ალბათ, ძლიერ საჭირო შეიქნება, მაგრამ დღეს სჯობს, „პარმაში“ გამოიწვრთოს“.

**პაპუნა კედია**

# ელდერ პოსტიგა პორტუს დუბრუნეს



„ტოტენჰემმა“ „პორტუდან“ 12 მილიონ ევროდ შარშან ნაყიდი ფორვარდი ელდერ პოსტიგა პორტუგალიელებს უკანვე 9 მილიონად მიჰყიდა, სამი მილიონიც დაამატა და ნახევარმცველი პედრო მენდესი წაჰგვარა.

პოსტიგამ გასულ პრემიერლიგურ სეზონში 19-ჯერ ითამაშა და მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა, ევროპის ჩემპიონატზე კი ფორვარდმა თავი ორჯერ გამოიჩინა და ორჯერვე ინგლისთან მატჩში.

„იგი ნაღდად ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ პრემიერლიგა ალბათ მისთვის ნაადრევი იყო. აქ ვაფასებდით, თუმც სამშობლოში დაბრუნება თავად მოისურვა და ჩვენც დავყაბულდით“ — თქვა „ტოტენჰემის“ სპორტულმა დირექტორმა ფრენკ არნესენმა.

25 წლის პედრო მენდესი ლონდონური კლუბის მესამე შენაძენია მას შემდეგ, რაც „მამლები“ ჟაკ სანტინიმ ჩაიბარა. „ძალიან კმაყოფილი ვარ — განაცხადა არნესენმა — მენდესი გამოცდილი ნახევარმცველია და გუნდს აშკარად გააძლიერებს“.

პორტუგალიელმა „ტოტენჰემთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმა, ისევე როგორც „ფულემიდან“ გადასულმა შონ დევისმა, რომელიც „მამალთა“ ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშებს.

ჟაკ სანტინიმ მწვრთნელთა შტაბიც შეავსო. საფრანგეთიდან მეგობარი დომინიკ კუპერლი ჩაიყვანა.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემმა“ გასულ შაბათს 18 წლის ბრაზილიელი როდრიგო დეფენდი გადაიბირა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ესპანურმა** „რეალმა“ მაინც მიაღწია მიზანს და 9 მილიონი ევროს სანაცვლოდ სამუელ ეტოოს კონტრაქტი სანახევროდ გამოისყიდა „მალიორკასგან“. ახლა „სამეფო კლუბი“ კამერუნელს თანაქალაქელ „ატლეტიკოს“ ათხოვებს. თანაც სისე, რომ ეტოო „რეალის“ წინააღმდეგ არ ითამაშებს.

**არგენტინულმა** „ბოკა ხუნიორსმა“ და მოსკოვის „სპარტაკმა“ თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ამიერიდან კლუბები ერთმანეთში გაცვლიან ფეხბურთელებს და ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ. ამასთანავე, მიმდინარეობს მოლაპარაკება არგენტინის ნაკრების მცველ კლემენტე როდრიგესის „სპარტაკში“ გადასვლასთან დაკავშირებით.

**საბერძნეთის** ნაკრებისა და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი თეოდორის ზაგორაკისი „ბოლონიაში“ ჯერ არ გადასულა. ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაცია მცდარი გამოდგა, იტალიელებს კი მართლაც სურთ ზაგორაკისის გადაბირება. ბერძენს თვალი „ტოტენჰემმა“, „ბოლტონმა“, „ევერტონმა“ და „ატლეტიკომაც“ დაადგეს. „მან უამრავი წინადადება მიიღო. ყატარიდანაც კი გვთავაზობენ კონტრაქტს, თან ჩინებული პირობებით — 2 სეზონში 6 მილიონი ევრო. თეოდოროსი გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში მიიღებს“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა აიმონ კოკოროიანისმა.

**რუსული** „შინიკის“ ფეხბურთელები, ვალერი კეჩინოვი და ალექსანდრ შირკო ავტოავარიაში მოყვნენ. საკუთარი „ჯიპის“ საჭესთან მჯდომი შირკო არ დაშავებულა, კეჩინოვმა კი მცირე დაზიანება მიიღო. ერთი სიტყვით, „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელები იოლად გადარჩნენ.

**ბულგარეთის** ნაკრების ახალი მწვრთნელს 15 ივლისს დანიშნავენ და დიდი შანსია, ამ პოსტზე ხრისტო სტოიჩკოვი ვიხილოთ. მისი კანდიდატურა მას მერე გახდა რეალური, როცა კრასიმირ ბალაკოვმა ეროვნული გუნდის ჩაბარებაზე უარი თქვა — სამწვრთნელო კარიერა „შტუტგარტში“ უნდა გავაგრძელოო. ამბობენ, სტოიჩკოვი თანახმაა, ოღონდ ერთი პირობით, მისი ერთ-ერთი თანაშემწე დიმიტარ პენევი უნდა იყოს.

**იტალიური** „რომა“ ანგელოს ხარისტიასით დაინტერესდა. ბრემენის „ვერდერმაც“ პასუხი არ დააყოვნა — ბერძენ ფორვარდს უპრობლემოდ შეველევით, თუ მსურველი 8 მილიონ ევროს გადაიხდისო. ამან შეიძლება დედაქალაქელები დააფრთხოს, რომლებიც ფორვარდს კი ეძებენ, მაგრამ ფინანსურ კრიზისში იმყოფებიან და სავარაუდოდ, თანხის გადახდას ვერ შეძლებენ.

**ჩეხეთის** ნაკრებისა და პრაღის „სპარტას“ მცველი ტომაშ ჰუბშმანი დონეცკის „შახტარში“ გადაბარგდა. უკრაინულ გრანდში ერთი ჩეხი აქამდეც იყო — მეკარე იან ლაშტუვკა. დონეცკელებმა ჰუბშმანს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

**პორტუგალიური** „ბენფიკას“ ახალ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის სურს, ლისაბონური გრანდი სერია A-ს ოთხი ფეხბურთელით გააძლიეროს. დონ ტრაპმა თვალი დანიელე ადანის, გეორგიოს კარაგუნისს, ფერნანდუ კოუტუს და მანუელ რუი კოშტას დაადგა. კოუტუს რომის „ლაციო“ კონტრაქტს აღარ უგრძელებს, კარაგუნისსა და ადანის მომავალ სეზონში „ინტერის“ ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდებათ, ხოლო რუი კოშტა კი იცით, ბრაზილიელი კაკას „მსხვერპლი“ გახდა „მილანში“ და უმეტესად, სათადარიგოთა სკამზე ზის.

# ჩემი მისტა ჩემთან

## ბენიტესი ლივერპულში ვალენსიას აპეთებს




თუ დაკვირვებულხართ, მწვრთნელი ერთი გუნდიდან მეორეში რომ გადადის სამუშაოდ, იმას ცდილობს, თავისი ძველი ფეხბურთელებიც თან წაიყვანოს. ასე მაგალითად, რაფა ბენიტესი „ვალენსიიდან“ „ლივერპულში“ წავიდა და პირველი ტრანსფერიც გაჩარხა — მისტა ინგლისში გადაიყვნა. ფეხბურთელი წინა სეზონში 46 მატჩში „ვალენსიას“ 24 გოლით შეეწია და, რა გასაკვირია, რომ ახალი მწვრთნელი გუნდის გაძლირებას თავის ძველი შეგირდის ყიდვით შეუდგა.

მისტას „ვალენსიაში“ კონტრაქტით ერთი წელი კიდევ უნდა გაეტარებინა, „ლივერპულს“ კი მისი გადაბირება 3;2 მილიონი გირვანქა დაუჯდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

სამი წლის წინ მისტა „ტენერიფეს“ ფეხბურთელი იყო, ხოლო ამ ტრანსფერის ჩაშლის შემთხვევაში მერსისაიდელებს სათადარიგო ვარიანტიც ჰქონდათ — „დორტმუნდის“ ბრაზილიელი მარსიო ამორიზო.

**ირაკლი ნინიძე**

# ფაბიანომ ბრაზილია ითავა

## პერუში მსაჯებზე ბევრს ლაპარაკობენ

„მსაჯი აშკარად შეცდა. პენალტი არ უნდა დაენიშნა“ — მსგავსი წინადადება უკვე მესამედ ითქვა ახალდაწყებულ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე.

გახსნის დღეს მსაჯს ვენესუელელები გაუწყრნენ, რადგან, მათი აზრით, კოლუმბიასთან საეჭვო პენალტით წააგოეს.

შემდეგ ასეთივე ამბავი არგენტინა — ეკვადორის შეხვედრაში მოხდა. კილი გონსალესის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ეკვადორელებმა გამოგონილად მიიჩნიეს.

იგივე განმეორდა მესამე დღეს, კოსტა რიკა — პარაგვაის მატჩში. ამჯერად კოსტარიკელთა კოლუმბიელმა თავკაცმა დაიჩივლა, უსამართლოდ, მსაჯის მიერ შეთხზული პენალტით დავმარცხდითო.

შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე არბიტრმა ოსკარ რუისმა წესის დარღვევა შენიშნა — მაურისიო რაიტმა ფრედი ბარეირო საჯარიმოში წააქცია, ხოლო დოს სანტოსმა თერთმეტი მეტრიდან დარტყმა ზუსტად შეასრულა.

პირველ ტაიმში სუსტად მოთამაშე პარაგვაელები შესვენების შემდეგ მოყოჩაღდნენ, ხოლო შესვენებამდე კოსტა რიკა ბატონობდა.

ენდი ერონს და რონალდ გომესს გოლის გატანის თითო კარგი შანსი ჰონდათ, მაგრამ მეკარე დიეგო ბარეტომ იყოჩაღა.

თავის მხრივ, პარაგვაელთაგან ერნესტო კრისტალდომ ორი საჯარიმო დარტყმა შეასრულა ხელსაყრელი პოზიციიდან, თუმც ორჯერვე უხეიროდ — კარს ააცილა.

მეორე ნახევარში პარაგვაელთა მწვრთნელმა ბრიტესი დოს სანტოსით შეცვალა, რომელმაც მარჯვენა ფლანგი აიკლო და მისი წყალობით გუნდის თამაში გამოსწორდა.

კარლოს პარედესს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ახლოდან თავური უშნოდ დაჰკრა, ბოლოს კი იყო ის პენალტი, რომელზეც უკვე ვთქვით.

„დაცვაში კარგად ვითამაშეთ, მატჩის მიწურულს კარგადაც შევუტიეთ და გოლი, ვფიქრობ, დავიმსახურეთ. პირველივე შეხვედრაში მოგებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ გვავიწდება, რომ წინ ბრაზილია და ჩილე გველის“ — თქვა პარაგვალეთა თავკაცმა.

ერთი პენალტი ბრაზილია — ჩილეს მატჩშიც დაინიშნა. ლონდონის „არსენალის“ ლეგიონერმა ედუმ 23-ე წუთზე ვალენსუელა წააქცია. სებასტიან გონსალესმა ჟულიო სეზარს გაუტანა. მექსიკელმა მსაჯმა მარკო როდრიგესმა გოლი გააუქმა, რადგან სულსწრაფი სამხრეთელები საჯარიმოში ნაადრევად შეცვივდნენ. მეორე ცდაზე გონსალესმა ბურთი კარს ააცილა.

ეს უკვე მეორედ მოხდა კოპა ამერიკაზე, რომ მსაჯმა პენალტი გაამეორებინა.

ამ მომენტის შემდეგ ბრაზილიელებს ორი საგოლე შანსი ჰქონდათ — ადრიანოს და გუსტავო ნერის დარტყმული ბურთები ალექს ვარასმა მოიგერია.

მეორე ტაიმში ჩილელთა მწვრთნელმა თერთმეტმეტრიანის გამცუდებელი გონსალესი 20 წლის ლუის ანტონიო ხიმენესით შეცვალა, ყმაწვილკაცმა გუნდის თამაში ვერ გააფორმა.

მოგვიანებით ცვლილების უფლება კარლოს ალბერტო პარეირამაც გამოიყენა — სანტოსელი დიეგო და ვალენსიელი ოლივეირა შეუშვა მოედანზე. დიეგო აშკარდ კი დაეტყო ბრაზილიის ნაკრებს და ალექსის პასით გატანაც მართებდა, მაგრამ ვერ ივარგა, ისევე როგორც ოლივეირამ, რომელმაც შორიდან დააძგერა ბურთი კარს და ააცილა.

ჩილელთაგან მხოლოდ ერთხელ, მანსილამ შეაწუხა მეტოქის მეკარე.

პენტაკამპიონებმა მატჩის ბოლო წუთები მიითვისეს და მძლავრად შეუტიეს. ისინი ორჯერ პენალტსაც კი ითხოვდნენ, მაგრამ მხოლოდ კუთხური მოინაგრეს. ალექსის ჩაწოდებულ ბურთს „სან პაულუს“ ლუიმ ფაბიანომ თავი დაჰკრა და ბრაზილიამ ჩემპიონატი მოგებით დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ერთი თვის წინ ეს გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (1:1) შეხვდნენ და გოლი მაშინაც სანპაულელმა შაეგდო.

„ასეთი მარცხი განსაკუთრებით საწყენია, რადგან თავით ყველაზე კარგად მოთამაშე ორი ფეხბურთელი მოედანზე მყავდა და მათ ლუიმ ფაბიანომ აჯობა. ჩემი შეგირდების გარჯით მაინც კმაყოფილი ვარ, შედეგით არა და მჯერა, რომ მომდევნო მატჩში უკეთესად ვითამაშებთ. პარაგვაისთან მოგება თუ გვსურს, საგოლე მომენტები არ უნდა გავანიავოთ“.

**გაჟა ხუციშვილი**

## კოპა ამერიკა 2004

### პერუ (6-25 ივლისი)

**C ჯგუფი. I ტური**

**ბრაზილია 1:0 ჩილე**

1:0 ლუის ფაბიანო (90)

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მანსინი (მაისონი 79), ლუიზაო, ჟუანი, გუსტავო ნერი, რენატო, დუდუ კარენსე (დიეგო 62), ედუ, ალექსი, ადრიანო (რიკარდო ოლივეირა 62), ლუის ფაბიანო

**ჩილე:** ვარასი, ლ. ფუენტესი, მელენდესი, ოლარა, რ. პერესი, კ. აკუნია, ვილაროელი, ვალენსუელა, ცისტერნასი (ლ. ხიმენესი 46), მიროშევიჩი (გალაზი 85), ს. გონსალესი (მანსილია 66)

**მსაჯი:** მარკო როდრიგესი (მექსიკა)

35 000 მაყურებელი

**პარაგვაი 1:0 კოსტა რიკა**

1:0 დოს სანტოსი (85პ)

**პარაგვაი:** დ. ბარეტო, ე. მარტინესი, დე ვაკა (პ. ბენიტესი 60), გამარა, კრისტალდო, ე. ბარეტო, ბრიტესი (დოს სანტოსი 46), ა. ტორესი, ფიგეერედო (ბარეირო 67), პარედესი, აედო

**კოსტა რიკა:** რ. გონსალესი, ბენეტი, მარინი, მ. რაიტი, ლ. გონსალესი (სოლისი 59), ბონილია, სეკეირა, სენტენო (კ. ერნანდესი 63), ბრისი, რ. გომესი (საბორიო 59), ერონი

**მსაჯი:** ოსკარ რუისი (კოლუმბია)

35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| პარაგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ჩილე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| კოსტა რიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**II ტური 10 ივლისი**

**ბრაზილია – კოსტა რიკა** **პარაგვაი – ჩილე**

# ლოთები

## ყალბი ნომერი 3 000 დოლარად

ვენესუელელი ფორვარდი მასიმო მარჯიოტა კოლუმბიასთან მატჩი შეცვლაზე შევიდა და... მისი ნაკრები 3 000 დოლარით დაავჯარიმეს. აღმოჩნდა, რომ მარჯიოტა 23-კაციან განაცხადში 22-ე ნომრად იყო ჩაწერილი, მაგრამ მოედანზე 10-ნომრიანი მაისურით შევიდა, 22 კი პედრო დე პაბლოს დაუტოვა. მარჯიოტა გააფრთხილეს, რომ მაისურა აღარ შეცვალოს და ათიანი ჩაიცვას, თორემ ჯარიმა უფრო მსუყე იქნება.

პერუელებმა გახსნამდე რესტორანი დახურეს.

ბოლოვიასთან პერუს ნაკრების უსახური თამაშის მეორე დღეს, ერთ-ერთი იქაური გაზეთი გამოვიდა საპირველგვერდო წარწერით: „ლოთები!“

ამ გაზეთის პაპარაცებს ორი პერუელი ფეხბურთელი ბარში უნახავთ ბოლივიასთან მატჩამდე ორი დღით ადრე. ისინი თურმე ალკოჰოლით იჟღენთებოდნენ, მწვრთნელმა კი ამბავი, ცხადია უარყო.

### შვედეთი

**ალსვენსკა. XI ტური**

**ჰამარბი 2:1 ჰელსინგბორგი**
**იორეგრო 0:0 გიოტეგორგი**
**ტრელეგორგი 0:1 ელფსბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 10 | 7 | 2 | 1 | 24:11 | 23 |
| ჰამარბი | 11 | 7 | 2 | 2 | 12:7 | 23 |
| მალმიო | 11 | 5 | 5 | 1 | 16:5 | 20 |
| კალმარი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:9 | 18 |
| გიოტებორგი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:6 | 15 |
| სუნდსვალი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:10 | 14 |
| იურგორდენი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:15 | 13 |
| იორგრიტე | 11 | 2 | 5 | 4 | 10:14 | 11 |
| იორეგრო | 10 | 3 | 2 | 5 | 12:21 | 11 |
| აიკ | 10 | 2 | 4 | 4 | 6:10 | 10 |
| ლანდსკრონა | 10 | 2 | 3 | 5 | 11:15 | 9 |
| ტრელებორგი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:11 | 9 |
| ელფსბორგი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:15 | 9 |
| ჰელსინგბორგი | 10 | 1 | 4 | 5 | 14:17 | 7 |

### ფინეთი

**ვეიკასლიგა. XIII ტური**

**ალიანსი 0:0 ჰაკა**
**ინტერი 5:1 იარო**
**ლაჰტი 1:2 ტურკუ**
**როვანიემი 2:0 ჰიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 14 | 8 | 4 | 2 | 26:8 | 28 |
| ინტერი | 13 | 8 | 2 | 3 | 30:18 | 26 |
| ალიანსი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:14 | 24 |
| ჰიკ | 14 | 5 | 7 | 2 | 23:15 | 22 |
| ტამპერე | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 |
| ტურკუ | 13 | 6 | 2 | 5 | 21:18 | 20 |
| კტპ | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| ლაჰტი | 14 | 3 | 8 | 3 | 16:18 | 17 |
| ტპ 47 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| ჯაზი | 12 | 4 | 2 | 6 | 21:23 | 14 |
| მიუპა | 10 | 3 | 3 | 4 | 10:15 | 12 |
| როვანიემი | 13 | 2 | 2 | 9 | 12:30 | 8 |
| იარო | 12 | 2 | 1 | 9 | 12:27 | 7 |
| ჰამენლინა | 12 | 1 | 3 | 8 | 13:27 | 6 |

# მადრიდში რუნის სუნია

## მოიესისთვის ბიჭი ყიდია

ხვალ მადრიდში დიდი რია-რია იქნება — „რეალის“ პრეზიდენტის არჩევნებია.

წინა საარჩევნო კამპანიისას ფლორენტინო პერესი კლუბის ქომაგებს ლუიშ ფიგუს ყიდვას შეპირდა და სიტყვა შეასრულა. შემდეგ გუნდი ზიდანით, რონალდოთი და ბექემით გაამდიდრა, ამჯერად კი ფლორენტინო პერესის სამიზნე უეინ რუნია.

18 წლის ინგლისელმა ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინა, „ევერტონმა“ ი ივი უმალ 50 მილიონ ევროდ შეაფასა. რამდენიმე დღის წინ ლივერპულურმა კლუბმა რუნის ხუთწლიანი კონტარქტის გაფორმება შესთავაზა. ამ კონტრაქტის განხილვა, ანუ ფეხბურთელის, მის აგენტისა და „ევერტონის“ ბოსების მოლაპარაკება გუშინ დაიწყო.

სანამ ისინი ლაპარაკობენ, ფლორენტინო პერესი მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ რუნის იყიდის. ფიგუს, ზიდანის, ბექემისა და რონალდოს მყიდველს ალბათ დაეჯერება, მაგრამ აქ საინტერესო სხვა რამაა.

დაახლოებით ერთი კვირის წინ კიდევ ერთმა კანდიდატმა, არტურო ბალდასანომაც იგივე თქვა — ხოსე ანტონიო კამაჩო თუ მთხოვს, ნიჭიერ ინგლისელს გადმობირება ძალიან ადვილად შემიძლიაო. საარჩევნო კამპანიის მთავარი სატყუარად ამჯერად რუნი იქცა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯიმიმ მიდლსბრო გადაწყვიტა

„მიდლსბრომ“ ამ კვირაში მესამე ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხა, მარკ ვიდუკას და მიხაელ რაიციგეს მერე გუშინ 32 ჯიმი ფლოდ ჰასელბაინკს მოაწერინა კონტრაქტზე ხელი.

— ძალიან ბედნიერი ვარ „ბოროში“ თამაშის საშუალება რომ მომეცა — თქვა ჰასელბაინკმა, რომელსაც წინა სეზონის ბოლოს „ჩელსიმ“ ახალი კონტრაქტი არ შესთავაზა — რამდენიმე კვირის წინ შევიტყვე, რომ „ბორის“ ჩემი წაყვანა სურდა და თავადაც დიდი სურვილი გამიჩნდა აქ მისვლისა. სეზონის დაწებას მოუთმენლად ველოდები.

ჰოლანდიელის ხალში ჩაგდება „ფულემსაც“ სურდა, მაგრამ მიდლსბორელებმა იყოჩაღეს, თანაც ჰასელბაინკი თავისუფალი აგენტი იყო, არადა, „ფულემი“ ფორვარდს კვარაში 35 ათას გირვანქა ჯამაგირს და ბინას სთავაზობდა მოგებისა და გოლებისთვის. გარდა ამისა, მას „სელტიკი“, „რეინჯერსი“ და იაპონური „ჰამფრი ნიიმანი“ იწვევდნენ.

— წინა სეზონში „ბორომ“ ყველა გააკვირვა — ახსნა თავისი არჩევანი ჰასელბაინკმა — საკმარისი იყო, ერთხელ გენახათ ამ გუნდის თამაში, რომ მის სანახავად ისევ და ისევ მისულიყავით. მომდევნო სეზონშიც ჩვენ უეფას თასის საგზური მაინც უნდა მოვიპოვოთ, მაგრამ ამავე დროს ვეცდებით, რომ ოთხეულში მოვხვდეთ და ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ“.

დავძინოთ, რომ წინა სეზონში „ბოროს“ მთავარმეგოლე სლოვაკი თავდამსხმელი ნემეცი იყო, რომელმაც სულ რადაც... ცხრა გოლი გაიტანა. ჰოდა, ცხადია, „ბოროს“ უკეთესი თავდამსხმელი სჭირდებოდა, მოკლედ, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი.

**ირაკლი ნინიძე**

# 3 ბრაზილიის საპატიო სტუმარი

## ამანტინო მანსინის ჯოპაზე დიდი სტუმარი ეწვია

# ჰარგად სტვენას ფული მოაქვს

## კოლინას წლებს მოაკლებენ

მსოფლიოს უმდიდრეს ფეხბურთელებზე, კლუბებსა და მწვრთნელებზე ბევრი გვსმენია, მაგრამ იცით, ვინ არის სერია **A**-ს ყველაზე ჯიბესქელი მსაჯი? რა თქმა უნდა, პიერლუიჯი კოლინა, რომელსაც მომავალ წელს 45 წელი უსრულდება.

განვლილ სეზონში იტალიაში პიერლუიჯი კოლინამ 29 მატჩში უსტვინა და მისი ქისა 153 ათასი ევროთი შეივსო. სერია **A**-ში კიდევ 37 მსაჯია, მაგრამ მათი შემოსავლები უპოპულარულეს კოლინას მონაგართან ახლოსაც ვერ მივა.

ყველაზე მცირე წლიური შემოსავლის მქონე იტალიელ მსაჯს კი სეზონში 82 ათასი ევრო მოუგროვდა.

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# დიეგო



ეროვნული ბიბლიოთეკა

***ფეხბურთში ბედნიერებას ვეძებდი და ვცდილობდი სხვებიც გამებედნიერებინა. ფეხბურთი ხომ მსოფლიოს ულამაზესი თამაშია. დიახ, ბევრი შეცდომა დავუშვი და საფასურიც გადავიხადე, მაგრამ ფეხბურთისთვის ჩირქი არ მომიცხია, რადგან ეს შეუძლებელია***

ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაის ნაკრების ყოფილი მეკარე): „თანამედროვე ფეხბურთში ბევრს უწოდებენ დიდ ვარსკვლავს, მაგრამ ლუიშ ფიგუ, დევიდ ბექემი და ზინედინ ზიდანი დიეგო მარადონასთან ახლოსაც ვერ მოვლენ. ჩვენთვის, ვისაც მისი ფეხბურთი გვინახავს, მარადონა უდიადესია მათ შორის, ვისაც კი ოდესმე მოედანზე ფეხი შეუდგამს“.

რა არ უთქვამთ დიეგოზე, არადა, დედამიწის ნებისმიერ წერტილში მასზე აზრი აქვთ, რომ არა მხოლოდ იცნობენ, არამედ, იგი მათ ცხოვრებაში განსაკუთრებული ძალით შეჭრილა და დარჩენილა. ის მოვლენათა მოვლენა იყო, ხოლო ასეთი რომ არსებობს, ამიტომაც არსებობს მსჯელობა, შთაბეჭდილებების გაზიარება, დავა, აღფრთოვანება, მტრობა, ბურთი, ბოღმა, ომი... მაგრამ ეს ყველაფერი „დედამიწის ნებისმიერ წერტილში“ გარდა არგენტინისა. არგენტინაში დიეგოს ყველაფერი მიეტევება და მიეტია კიდეც. ვინ არის უკიდურეს სიღარიბეში დაბადებული და მსოფლიოს მწვერვალზე ასული თვისტომი? ვინ იცხოვრა ზღაპრული ცხოვრებით? ვინ არ შეეპუა ამა ქვეყნის ძლიერთ? ვინ დაიწყო როგორც ნიჭიერმა სპორტსმენმა და ქვეყნის სიმბოლოდ, კულტურულ მოვლენად იქცა? ვინ ტანჯეს და ვინ გვემეს? და ვინ გაძლიერდა დევნაში? ვინ?.. ვინ?.. ვინ?..

ამასწინათ დიეგო მარადონას კოლაფსი მოუვიდა და საავადმყოფოში იწვა. მანამდე, ორი კვირით ადრე, არგენტინის პრეზიდენტი, ნესტორ კირხნერი გახდა ცუდად — ნაწლავური პრობლემები ჰქონდა. მარადონა პრეზიდენტის პალატაში იჯდა. ცნობისთვის: კირხნერი არგენტინაში გვარიანად პოპულარული პოლიტიკოსია, თუმცა ავადმყოფობის ეს ორი ამბავი რატომ ვახსენეთ, ალბათ, ძალიან ადვილი გასაგებია. ცხადია, ხალხის თანადგომის შედარება გვინდოდა და ცხადია, ყველაფერი იქითკენ მიგვყავდა, რომ ბოლოს გვეთქვა: დღეს არგენტინელ ერს არავინ უყვარს ისე, როგორც დიეგო.

გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი): „ათი წლის ბიჭების უმრავლესობას ბევრი არაფერი შეუძლიათ, დიეგო კი სხვა იყო. ის დიდებთან თამაშობდა და ისინიც ტოლსავით ექცეოდნენ. ფეხბურთელობა მისი ხვედრი იყო, ვერსად გაექცეოდა. ხალხმა ის გააღმერთა. ჩემს მაგალითს გეტყვით: დღემდე, როდესაც ვკითხულობ, რომ არგენტინის სახელით მასზე მეტი გოლი გავიტანე, თავს უხერხულად ვგრძნობ“.

საერთოდ, არგენტინელი ერის ერთერთი გამორჩეული თვისება ხაზგასმული თავმოყვარეობაა და დიეგოს გაღმერთების ასახსნელად ამ თვისების გამოყენება და ლოგიკის მასზე აწყობა საკმაოდ მოხერხებული იქნებოდა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ძალიან ხანგრძლივი და შრომატევადი საქმეა. ჩვენი წერილი არგენტინელი ერის რთული და საინტერესო ბუნების შესწავლას არ ისახავს მიზნად, თუმცა კიდევ ერთხელ შევეცდებით, დიეგოთი სიამაყის ერთ-ერთ მოტივზე გავამახვილოთ ყურადღება.

ერთხელ სიტყვამ მოიტანა და მარადონამ ასე თქვა: „ჩემი უბნის, ფიორიტოს მხოლოდ ერთი სიტყვით დახასიათებას თუ მთხოვენ, ასე ვიტყვი: წვალება! წარმოიდგინეთ, რომ დღეს თქვენ საჭმელი გაქვთ, ხვალ კი ვერ შეჭამთ, მშიერი უნდა იყოთ“.

და ფიორტოელები მსოფლიოში დიეგოთი გამოდიან. ისინი ყველას სჯობიან.

არგენტინის გარეთ კი — და კაცმა რომ თქვას, ალბათ, თვით არგენტინაშიც — დიეგო მარადონას ხსენებაზე ყველაზე დიადი, ბრწყინვალე და წინააღმდეგობრივი, რაც ხალხს ახსენდება, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატია. რატომ დიდი და ბრწყინვალე? გასაგებია რატომაც, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. და რატომ წინააღმდეგობრივი? ესეც ნათელია, „ღმერთის ხელის“ გამო, თუმცა ჩვენი მხრივ დავძენთ — განა დიეგოს ცხოვრება წინააღმდეგობების გარეშე შესაძლებელი იყო? ან ახლა არის შესაძლებელი?

ეს მეხიკოში „აცტეკზე“ მოხდა. არგენტინა ინგლისს ეთამაშებოდა, როდესაც სამხრეთამერიკელებმა... უფრო სწორედ კი, დიეგო მარადონამ, დროის მცირე მონაკვეთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ორი, მანამდე თვალით უნახავი გოლი გაიტანა: პირველი ხელით, ხოლო მეორე საოცარი დრიბლინგით, რომელიც თავის ნახევარზე დაიწყო.

„ინგლისის კარში „ღმერთის ხელით“ გატანილი გოლი ჩემთვის ყოველთვის ბედნიერ მოგონებად დარჩება, ინგლისელებს ათას ბოდიშს ვუხდი — ამას გულწრფელად ვაცხადებ — მაგრამ საშუალება რომ მქონდეს, ათასჯერვე იმავეს გავიმეორებდი“.

რონალდინიო (ბრაზილიელი ფეხბურთელი): „დიეგო ის ფეხბურთელია, რომელსაც ყველაზე მეტად ვეთაყვანები. პელეზე მეტადაც. ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღე კი 2000 წლის ის დღე გახლდათ, როდესაც პორტუ ალეგრედან მის სანახავად გავემგზავრე. ფეხბურთის სათამაშოდ და ბარბეკიუზე ვიყავი დაპატიჟებული... და თვალებს ვერ ვუჯერებდი, რომ ჩემს წინ ნამდვილი მარადონა იდგა“.

არგენტინის ნაკრებში დიეგომ პირველად 18 წლისამ ითამაშა, მაგრამ 1978 წელს, მის ქვეყანში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, რადგან მწვრთნელის, ლუის სესარ მენოტის შეკრებილ ფეხბურთელთა რაოდენობა ნებადართულზე ერთით მეტი იყო და გუნდის კაპიტანმა, დანიელ პასარელმა შეფს ყველაზე ახალგაზრდის დატოვება ურჩია.

მას მერე დიეგოს პასარელა სძულს.

ბერნდ შუსტერი (გერმანელი ვარსკვლავი): „დიეგო გერმანელი რომ ყოფილიყო, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში არ ითამაშებდა. მის ასაკში ასეთი რამის გაბედვა მხოლოდ არგენტინელს და ისიც გენიოსს შეეძლო. ეს სიგიჟე იყო“.

სიგიჟე... ეს სიტყვა დიეგოს მთელ ცხოვრებას გასდევს, ისევე, როგორც სიტყვა გენიოსი. სიგიჟეა, აბა, რა არის, აწყენინო რომის პაპს, არგენტინის მმართველ კლასებს, სილვიო ბერლუსკონის, პელეს, აველანჟს... რომელი ერთი ბობოლა ჩამოვთვალოთ.

პაბლო ალაბარსესი, პატივცემული არგენტინელი სოციოლოგი მარადონას ფენომენისადმი მიძღვნილ წიგნში, „ფეხბურთის საკითხი“ წერს: „ჩვენ ვხედავთ, რომ მარადონას მესამე მსოფლიოს დროშა უპყრია და იბრძვის უთანასწორობის, უსამართლობის, ფულის და ძალაუფლების უმცირესობის ხელში მოხვედრის წინააღმდეგ, და ის სანტა კლაუსის ტიპის ფიგურად ჩანს, რომელსაც ნებისმიერი საშობაო სურვილის ასრულება შეუძლია“.

**პაპუნა კედია**

# სარბიელი: კროკი

## წარმოგიდგენთ

### შვედეთი. ალსვენსკა. XI ტური

**11 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 160 | ელფსბორგი-აიკ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 161 | გიოტებორგი-ტრელებორგი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 162 | ჰალმსტადი-იორგრიტე | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |

**12 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 163 | კალმარი-ლანდსკრონა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.00 | 164 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

### შვედეთი. სუპერეტა. XIV ტური

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 018 | ოპერა-ბრაგე | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 18.00 | 019 | ფრისკა-ნორჩიოპინგი | 3,8 | 3,6 | 1,7 | 1,84 | 1,17 | 1,15 |
| 19.00 | 020 | ფრიოლუნდა-ასირისკა | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 021 | ჰეკენი-ბრომაპოიკარნა | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### ნორვეგია. I დივიზიონი. XVI ტური

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 023 | ჰაუგესუნდი-ალესუნდი | 3,1 | 3,8 | 1,85 | 1,7 | 1,15 | 1,24 |
| 20.00 | 024 | ჰიოდი-სანდეფიორდი | 2,35 | 3,6 | 2,35 | 1,42 | 1,17 | 1,42 |
| 20.00 | 025 | მანდალი-ბრინი | 2,0 | 3,6 | 2,9 | 1,28 | 1,18 | 1,6 |
| 20.00 | 026 | ჰორს გრენლანდი-სტარტი | 4,2 | 4,0 | 1,6 | 2,04 | 1,15 | 1,14 |
| 20.00 | 027 | რაუფოსი-მოსი | 2,4 | 3,6 | 2,3 | 1,44 | 1,17 | 1,4 |
| 20.00 | 028 | სკეიდი-კონგსვინგერი | 2,25 | 3,6 | 2,45 | 1,38 | 1,17 | 1,45 |
| 20.00 | 029 | სტრიომსგოდსეტი-ჰიონეფოსი | 1,6 | 4,0 | 4,2 | 1,14 | 1,15 | 2,04 |
| 20.00 | 030 | ტრომსდალენი-ვარდ ჰაუგესუნდი | 2,0 | 3,8 | 2,8 | 1,31 | 1,16 | 1,61 |

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIII ტური

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 038 | კტპ-ჯაზი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 19.30 | 039 | ტპ 47-ჰაამეენლინა | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 19.30 | 040 | ტურკუ-მიუპა | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |

### ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. X ტური

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 049 | ვესტმანაეიარი-აკრანესი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 21.00 | 050 | რეიკიავიკი-ფილკირი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 051 | ჰაფნარფიორდური-აკურეირი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

### რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 071 | ყუბანი-ზენიტი | 3,4 | 3,0 | 2,05 | 1,59 | 1,27 | 1,21 |
| 16.00 | 072 | ლოკომოტივი-კრილია | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 16.00 | 073 | როსტოვი-დინამო | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,28 | 1,47 |

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 074 | ცსკა-ამკარი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 16.00 | 075 | როტორი-ტორპედო | 4,0 | 3,1 | 1,8 | 1,74 | 1,24 | 1,13 |
| 16.00 | 076 | მოსკოვი-რუბინი | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,25 | 1,3 | 1,52 |

### ბრაზილია. სერია A. XIV ტური

**10 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 095 | ინტერნასიონალი-გრემიო | 2.05 | 3,1 | 3,3 | 1.23 | 1,26 | 1,59 |
| 23.00 | 096 | ჟუვენტუდი-კურიტიბა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 23.00 | 097 | ფლამენგო-ვასკუ და გამა | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 23.00 | 098 | სანტოსი-სან პაულუ | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 099 | ვიტორია-ბოტაფოგო | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 24.00 | 100 | გოიასი-პაისანდუ | 1,5 | 3,6 | 5.6 | 1,05 | 1,18 | 2.19 |
| 01.00 | 101 | ატლეტიკო პრ-პალმეირასი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 01.00 | 102 | კორინთიანსი-პარანა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1.69 |
| 03.30 | 103 | ფიგეირენსე-კრიციუმა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1.21 | 1,25 | 1,62 |
| 03.30 | 104 | ფლუმინენსე-სან კაეტანო | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 22.30 | 105 | პონტე პრეტა-გუარანი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 03.30 | 106 | ატლეტიკო მნ-კრუზეირო | 2,6 | 3,0 | 2,45 | 1,39 | 1,26 | 1,34 |

### აშშ. MLS. XIV ტური

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 110 | ნიუ იორკი-სან ხოსე | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 04.30 | 111 | დალასი-კოლამბუსი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 04.30 | 112 | კანზასი-ვაშინგტონი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,24 | 1.7 |
| 06.00 | 113 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 114 | ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |

### უკრაინა. სუპერ თასი

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 117 | დინამო-შახტარი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |

### ინტერტოტოს თასი

**10 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 118 | ხაზარი-ტამპერე | 2,7 | 3,2 | 2,25 | 1,46 | 1,22 | 1,32 |
| 19.00 | 120 | დინაბურგი-ოფკ | 2,5 | 3,1 | 2,4 | 1,38 | 1,22 | 1,35 |
| 19.00 | 121 | მარეკი-გენკი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 19.00 | 122 | შინიკი-ტეპლიცე | 1,95 | 3,2 | 3,3 | 1,21 | 1,22 | 1,62 |
| 19.00 | 123 | ვეტრა-ჰიბერნიანი | 2,35 | 3,1 | 2,6 | 1,33 | 1,23 | 1.41 |
| 19.30 | 124 | სლობოდა-ტრნავა | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1.49 |
| 21.00 | 125 | ლიბერეცი-დუბნიცა | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1.13 | 2,54 |
| 21.00 | 126 | კამენი-სპარტაკი | 2,2 | 3,1 | 2,8 | 1,28 | 1,23 | 1,47 |
| 21.30 | 127 | ზლინი-ვესტერლო | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1.69 |
| 22.00 | 128 | გენტი-ვარდარი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 00.00 | 129 | ვილიარეალი-ოდენსე | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,54 |

**11 ივლისი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 119 | სარტიდი-დინამო(მნ) | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 18.30 | 130 | კორკი-ნაიმეგენი | 2,25 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,24 | 1,47 |
| 19.00 | 131 | თუნი-ვოლფსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,35 | 1,4 | 1,21 | 1.35 |
| 20.00 | 132 | ვლაუნია-სლავენი | 2,9 | 3,1 | 2,1 | 1,49 | 1,21 | 1,25 |
| 20.00 | 133 | ნიცა-ესბიერგი | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1,03 | 1,16 | 2,25 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ**

# ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 009 | ურუგვაი-ეკვადორი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 04.45 | 010 | არგენტინა-მექსიკა | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 24.00 | 011 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 02.15 | 012 | პარაგვაი-ჩილე | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **10 ივლისი** | | | | | | |
| 5009 | ურუგვაი-ეკვადორი | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,33 | 1,33 |
| 5010 | არგენტინა-მექსიკა | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1.06 | 1,5 | 1,47 |
| | **11 ივლისი** | | | | | | |
| 5011 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1,6 | 2,7 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,94 |
| 5012 | პარაგვაი-ჩილე | 3,0 | 2,05 | 3,2 | 1,21 | 1,54 | 1,24 |

ერეკვნული ბიბლიოთეკა

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **10 ივლისი** | | |
| 5309 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,6 | 2,0 |
| 5310 | არგენტინა-მექსიკა | 1,6 | 2,0 |
| | **11 ივლისი** | | |
| 5311 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1,7 | 1,9 |
| 5312 | პარაგვაი-ჩილე | 1,65 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **10 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5109 | ურუგვაი-ეკვადორი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5110 | არგენტინა-მექსიკა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| | **11 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5111 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1,7 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5112 | პარაგვაი-ჩილე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფაგეულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **10 ივლისი** | | |
| 5409 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,75 | 2,1 |
| 5410 | არგენტინა-მექსიკა | 1,5 | 2,6 |
| | **11 ივლისი** | | |
| 5411 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1,25 | 3,7 |
| 5412 | პარაგვაი-ჩილე | 1,85 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **10 ივლისი** | | |
| 5209 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,7 | 1,9 |
| 5210 | არგენტინა-მექსიკა | 1,8 | 1,8 |
| | **11 ივლისი** | | |
| 5211 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1,8 | 1,8 |
| 5212 | პარაგვაი-ჩილე | 1,6 | 2,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **10 ივლისი** | | | |
| 5509 | ურუგვაი-ეკვადორი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | არგენტინა-მექსიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **11 ივლისი** | | | |
| 5511 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | პარაგვაი-ჩილე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## ფორმულა 1 (დიდი ბრიტანეთი). 10 ივლისი (12.00)

| 8001 გამარჯვებული | | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,35 | 1,05 | 1,02 | 1,4 |
| ბარიჩელო | 6,0 | 1,6 | 1,1 | 4,0 |
| მონტოია | 12,0 | 2,5 | 1,2 | 7,0 |
| უენე | 25,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| კულტჰარდი | 20,0 | 4,0 | 1,3 | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 | 4,0 | 1,3 | 15,0 |
| ტრული | 10,0 | 2,0 | 1,15 | 7,5 |
| ალონსო | 10,0 | 2,0 | 1,15 | 7,5 |
| ბატონი | 8,0 | 1,75 | 1,1 | 6,0 |
| სატო | 15,0 | 3,0 | 1,2 | 12,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| მასა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| უებერი | 100,0 | 20,0 | 3,0 | 40,0 |
| კლიენი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 20,0 | 3,5 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 250,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „კიკეტრო გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ლრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |



# ინგლისური ტრანსფერები 2004-2005

## არსენალი

**მოვიდნენ)**
ლუპოლი (პარმა, იტალია
ვან პერსი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**
ვილტორდი (იუვენტუსი, იტალია)
ბენტლი (ნორვიჩი)
სტაკი (მილუოლი)
ბაილი (ჩესტერფილდი)
ჩილვერსი (კოლჩესტერი)
ჰოლოვეი (ფარნბორო)
პრობეტსი (როჩდეილი)
ბრედლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნ. კანუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კიოუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პაულინიუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნიკოლაუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შააბანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სტეპანოვსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჩელსი

**მოვიდნენ**
ჩეხი (რენი, საფრანგეთი)
კეუმანი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
პ. ფერეირა (პორტუ, პორტუგალია)
რობენი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**
ხ. ვერონი (ინტერი, იტალია)
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)
დესაი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბოგარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მელხიოტი (ბირმინგემი)
ფორსელი (ბირმინგემი)
პეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუსუფა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დ. ჯეფერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კიტამირიკე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მანჩესტერი

**მოვიდნენ**
ა. სმიტი (ლიდსი)
ჰაინცე (პსუ, საფრანგეთი)
ლ. მილერი (სელტიკი, შოტლანდია)
პიკე (ბარსელონა, ესპანეთი)
ჯუზეპე როსი (პარმა, იტალია)

**წავიდნენ**
პაფი (ლიდსი)
ჯოუსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბ. უილიამსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ლივერპული

**მოვიდნენ**
ჯ. სისე (ოსერი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**
ჰესკი (ბირმინგემი)
შეირუ (მარსელი, საფრანგეთი)
ს. გილესტი (ბრისტოლ სიტი)
ვუგანი (ჩესტერი)

## ნიუკასლი

**მოვიდნენ**
მილნერი (ლიდსი)

**წავიდნენ**
გრიფინი (პორტსმუთი)
ს. კოლდუელი (სანდერლენდი)
მაკონგო (ტრანმერი)
კერი (მოზერუელი, შოტლანდია)
ორი (ბრისტოლ სიტი)

## ასტონ ვილა

**მოვიდნენ**
ლაურსენი (მილანი, იტალია)
დრობნი (სტრასბური, საფრანგეთი)

**წავიდნენ**
კრუჩი (საუთჰემპტონი)
კ. მარშალი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია)
დაბლინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რ. იონსენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კორმელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰინსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაჩლული (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სკულიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ტოტენჰემი

**მოვიდნენ**
შ. დევისი (ფულემი)
პ. რობინსონი (ლიდსი)
ფულოპი (მტკ, უნგრეთი)

**წავიდნენ**
ციგე (მიონხენგლადბახი, გერმანია)
ჯალალი (უოქინგი)
პოსტიგა (პორტუ)
ანდერტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოიეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფოსტერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰირშფილდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ალან სმიტი ახლა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ გაიტანს

## ბოლტონი

**მოვიდნენ**
ბრიჯისი (ლიდსი)
ლ. ფერდინანდი (ლესტერი)
ჯაიდი (ესპერანსი, ტუნისი)

**წავიდნენ**
ფრანდსენი (უიგანი)
ჯ. სმიტი (პორტ ვეილი)
ი. ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფორშელე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰაუი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლორდ-კანგანა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ფულემი

**მოვიდნენ**
არავინ

**წავიდნენ**
შ. დევისი (ტოტენჰემი)
ჰეილსი (შეფილდ იუნ.)
ჰარლი (შეფილდ იუნ.)
შტოლცერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბირმინგემი

**მოვიდნენ**
ჰესკი (ლივერპული)
იზეტი (ლესტერი)
ჯ. გრეი (კრისტალ პალასი)
მელხიოტი (ჩელსი)
ფორსელი (ჩელსი)

**წავიდნენ**
პარსი (ვესტ ბრომვიჩი)
ტ. უილიამსი (ბარნსლი)
ბ. ჰიუზი (ჩარლტონი)

## მიდლსბრო

**მოვიდნენ**
ძენდიეტა (ლაციო, იტალია)
რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი)
ვიდუკა (ლიდსი)
ჰასელბაინკი (ჩელსი)

**წავიდნენ**
სტოკდეილი (როტერჰემი)
დოვი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გულივერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯონსტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დევიდ მერფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რასელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. სმიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## საუთჰემპტონი

**მოვიდნენ**
კრუჩი (ასტონ ვილა)
ვან დამი (აიაქსი, ჰოლანდია)
კ. ჯოუნსი (უოტფორდი)

**წავიდნენ**
ს. ჰანტი (კოლჩესტერი)
გლისონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რ. ჯოუნსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუკასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. უილიამსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## პორტსმუთი

**მოვიდნენ**
გრიფინი (ნიუკასლი)

**წავიდნენ**
ტარდიფი (ოქსფორდი)
დ. ბარტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
უ. ჰანტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ოლშარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პეტეფერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შერინგემი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შერვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჩარლტონი

**მოვიდნენ**
ბ. ჰიუზი (ბირმინგემი)
ს. ანდერსონი (აკადემისკი, დანია)
რომედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**
სერჟიუ ლეიტე (ჰალი)
დე ბოლა (ჩესტერფილდი)
ს. ჰიუზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბლექბერნი

**მოვიდნენ**
დიკოვი (ლესტერი)
დ. მატეო (ლიდსი)
დე პედრო (სოსიედადი, ესპანეთი)

**წავიდნენ**
კამინგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაკკეი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. ნელსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რენტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაიკლ ტეილორი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## კრისტალ პალასი

**მოვიდნენ**
კირალი (ჰერტა, გერმანია)

**წავიდნენ**
ჯ. გრეი (ბირმინგემი)

## მანჩესტერ სიტი

**მოვიდნენ**
ტიტჩერი (ლესტერი)
დე ფლიგერი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)

**წავიდნენ**
ტარნატი (ჰანოვერი)
ტიატო (ლესტერი)
ს. ელიოტი (სანდერლენდი)
ვუოსო (სანტოს ლაგუნა, მექსიკა)
არასონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიკენსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ველანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვესტვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ევერტონი

**მოვიდნენ**
მ. ბენტი (იფსვიჩი)

**წავიდნენ**
ალექსანდერსონი (გიოტებორგი, შვედეთი)
ჯ. ჯოუნსი (მაკლსფილდი)
ს. ბრაუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯერსიდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯემილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჟერარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. მუგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბ. მუგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შუმახერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სიმონსენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სიმისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ნორვიჩი

**მოვიდნენ**
ბენტლი (არსენალი)
საფრი (ქოვენთრი)
პ. გალაჰერი (ჯესტერფილდი)

**წავიდნენ**
რობერტსი (ჯილინგემი)
კრიჩტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რივერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ვესტ ბრომვიჩი

**მოვიდნენ**
შიმეკა (ლესტერი)
პარსი (ბირმინგემი)
ალბრეხტსენი (აკადემისკი, დანია)

**წავიდნენ**
არავინ




წლეულს აბრამოვიჩის „ჩელსის“ პირველი შენაძენი ჰოლანდიელი არიენ რობენი იყო

# ჯეკსონოფილია დამთავრდა ლეიკერსს მიქელ-გაბრიელმა ნაბრძოლი კაცი მოუძებნა

*„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მწვრთნელის სავარძელი ოთხშაბათს გათავისუფლდა და ახლა ამერიკული პრესა სწორედ იმას უკირკიტებს, თუ ვინ დაიკავებს მას.*
*ფილ ჯეკსონს 30 ივნისს ამოეწურა კონტრაქტი, ოთხშაბათს კი უთხრეს, ხელშეკრულებას აღარ გაგიხანგრძლივებთო და ისიც წავიდა – ხუთწლიანი ლეიკერსული სტაჟითა და სამი საჩემპიონო ბეჭდით*



ფილ ჯეკსონი ულეიკერსოდ დარჩა

ფილი სავარძლიდან არ იყო ამდგარი, რომ უკვე გამოჩნდნენ იქ ჩაჯდომის კანდიდატები. თავიდან ოთხნი იყვნენ, მაგრამ ახლა ისე ჩანს, „ლეიკერსს" ცნობილი სპეციალისტი, ორი საჩემპიონო ბეჭდის მატარებელი რუდი ტომიანოვიჩი ჩაიბარებს.

რაც შეეხებათ დანარჩენ კანდიდატებს, ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის თავკაცმა როი უილიამსმა უარი განაცხადა, „დიუკის" მწვრთნელ მაიკ კრაჟეუსკის კი, ვისაც კობი ბრაიანტი უჭერს მხარს, ლოს ანჯელესიდან ჯერაც არ შეხმიანებიან. არის კიდევ ერთი კანდიდატი, „ლეიკერსში" 9 სეზონის გამტარებელი დიადი პატ რაილი, მაგრამ ამერიკული პრესა მაინც ტომიანოვიჩია, გაიძახის.

ლოსანჯელესელებს ტომიანოვიჩისთვის ჯერ არაფერი შეუთავაზებიათ, მაგრამ „ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა თქვა, რუდი საუკეთესო არჩევანი იქნებაო.

ტომიანოვიჩი „ჰიუსტონის" სიმბოლოა, ამ გუნდისთვის შეულევია მთელი სათამაშო და აქამდელი სამწვრთნელო კარიერა. 1970 წელს ის „ჰიუსტონმა" დრაფტზე მეორე ნომრად აიყვანა და შემდეგ, თამაშს თავი რომ დაანება, მწვრთნელადაც დანიშნა.

ტომიანოვიჩი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია „ჰიუსტონის" ისტორიაში — 503 მოგება 397 წაგების წილ. 1994-95 წლებში მან „როკეტსს" ორჯერ მოაგებინა ჩემპიონობა, თუმც შემდეგ 4 სეზონი პლეი ოფში ვეღარ გაიყვანა და გუნდის სელექციონერის თანამდებობაზე ჩამოაქვეითეს.

ტომიანოვიჩს უპირატესად მისი შეუპოვარი ხასიათით იცნობენ. კალათბურთელობისას მან ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი ტრავმა მიიღო — 1977 წლის სეზონში ლეიკერსელ კერმიტ ვაშინგტონთან შეტაკებისას ფიცარნაგს ისე დაენარცხა, სახის ძვლები დაელეწა და სიკვდილს ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან.

ახლახან ის ისევ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. შარდის ბუშტის კიბო დაუდგინეს და ჯანი ისე შეერყა, გადაწყვიტა, შინ დამჯდარიყო და მიქელ-გაბრიელს დალოდებოდა. საბედნიეროდ, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა და თითქმის გამოჯანმრთელებულს აგერ, „ლეიკერსის" გაწვრთნის პერსპექტივაც გამოუჩნდა.

ჟურნალისტები იმასაც ამბობენ, ლეიკერსელები ტომიანოვიჩს ხუთწლიან და 30-მილიონიან კონტრაქტს გაუფორმებენო. დაველოდოთ...

**ირაკლი პერტაია**



რუდი ტომიანოვიჩი



# როჯერმა ისევ აყლაყუდა

**ALLIANZ SUISSE OPEN GSTAAD**
გშტაადი. თიხნარი
საპრიზო 544 750 €

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) **6:7 (5:7), 6:3, 7:6 (7:4); რაინერ შუტლერი** (3, გერმანია) — **ფლორიან მაიერი** (გერმანია) **6:3, 6:2; ფელიციანო მანტია** (ესპანეთი) — **დავიდ ფერერი** (6, ესპანეთი) **6:3, 7:6 (7:2)**

კორტის დონიდან ორი მეტრისა და 8,3 სანტიმეტრის ამთვლელ ხორვატ ივო კარლოვიჩს ამქრის ობობა პირველოსანი როჯერ ფედერერი უკვე ხუთშაბათსვე უნდა გასწორებოდა. მაგრამ ალპურ გშტაადში იმ დღეს კათხისპირულმა წვიმამ მოასხა და უიმბლდონის ორგზის ჩემპიონ შვეიცარიელს მეოთხედფინალში გასასვლელად ბრძოლა საგუშინდლოდ გადმოედო.

ანგარიშზევე დაატყობთ, რომ ფედერერს საკმაოდ გაუჭირდა, იმაზე მეტად, ვიდრე თორმეტი დღის წინ უიმბლდონის მეოთხე წრეში, სადაც მან ხორვატს ასევე სამ სეტში, ოღონდ სეტისწაუგებლად აჯობა.

მაგრამ გუშინ კარლოვიჩი უფრო გაძალიანდა, ხოლო რაკიღა მეორე მოწოდება — თავად ფედერერისაგე აღიარებით — მას როდიკზე უფრო მძლავრი აქვს, გასაგებია, თუ რატომ დასჭირდა როჯერს მის მოსაშთობად ამდენი გეიმი.

თანაც ისიც გავითვალისწინოთ, რომ ლონდონურ სეფკოინდარზე გატარებული ორი კვირის შემდეგ ფედერერს ასე მეყსეულად მოუხდა ალპურ ზონაში ანაცვლება, რასაც არც შეიძლებოდა, მისთვის რაიმე პრობლემები არ შეექმნა.

თუმცა ეს ბიჭი ახლა მართლაც საოცარ ფორმაშია და, თუკი გამოფიტულობის გამო არ გაუჭირდა, მშობლიურ ტურნირს ახლა, მეშვიდე მცდელობაზე მაინც მოიგებს.

**ლევან კელაურაძე**



ივო კარლოვიჩი როჯერ ფედერერს ორ კვირაში ორჯერ ემსხვერპლა

## ფედერაციის თასი

**მეოთხედფინალისწინა მიმოხილვა**

# რუსებზე: მარიანეტებზე მარიონეტებზე არ არიან

ამ უქმეებზე მსოფლიოს უჩაუქესი მდედრები ერთმანეთს საფედთასოდ შეეხლებიან. ამერიკელები, რომელთა შორის არ იქნებიან არც უილიამსდები და არც დევენპორტ-კაპრიატი, ინსბრუკში ავსტრიელებს ეწვევიან. ეს ამ ნაკრებთა მეცხრე საამტურნირო დაპირისპირება იქნება და ოკეანისგაღმელნი, იმის მიუხედავად, რომ ზევით ნახსენები უძლიერესი მეჩოგნეების გარეშე ითამაშებენ, ავსტრიელებზე მერვე გამარჯვების მოხვეჭას შეეცდებიან. ამერიკულ ბრიგადაშია 47 წლის მარტინა ნავრატილოვაც, ვინაც ლიზა რეიმონდთან ერთად იწყვილავებს.

**ბუენოსაირესულ წითელმიწაზე შედგება არგენტინელ და რუს ქალთა დაგნარი.** რუსებს იქ კაი გალაღებული და ნატიტულარი გოგოები ჩაჰყავთ, თუმცა მათ შორის არ იქნება ახლახან გა-უიმბლდონზე-ჩემპიონებული, რეიტინგსიის მერვეადგილოსანი მარია შარაპოვა. მასპინძლები ბოლო დროს მძლავრად აჩოგნავებული პაოლა სუარესისა და ამომავალი ვარსკვლავის, ხისელა დულკოს იმედად არიან.

**იტალიელები რიმინულ თიხნარზე დახვდებიან თავიანთ ჩრდილონათესავ ფრანგებს.** ამ უკანასკნელთ — და სახელდობრ — ამელი მორესმომ, მარი პირსმა, ემილი ლუამ და ტატიანა გოლოვინმა წლევანდელი ფედთასის პირველი ორი შეხლა 5:0-ით მოიგეს და ვინძლო ამ ჯერზეც იგივეს გამეორებას ეშურებიან. თუმცა რაიმეს იოლად დამთმობი არც ფრანჩესკა სკიავონესა და სილვია ფარინა ელიას მიერ ნაყოჩარი მასპინძლები ჩანან.

**ბოლო სამეოთხედფინალო წყვილს კი ესპანელები და ბელგიელები შეადგენენ.** მატჩს ხერეს და ლა ფრონტერა უმასპინძლებს და, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუმრებს არც ჟუსტინ ენენ-არდენი ეყოლებათ და არც კიმ კლაისტერსი, ესპანელებს აქ ჩოგანი ვერავინ უნდა შეუშალოთ. აბა, სად ვირხინია რუანო პასკუალი, ანაბელ მედინა გარიგესი, მარტა მარერო, მარია სანჩეს ლორენსო და სად კაროლინ მაესი, ეველინ ფან ჰიფტე, კრისტენ ფლიპკენსი და ელს კალენსი. თუმცა ასე ლაპარაკი მაინც არ შეიძლება და იმედია, ნორჩი ბელგიელი გოგოშკები ასე მობჟუტურე ბევრ ჩოგბურთზე მწერალს წაუხდენენ ხასიათს.

**ლევან კელაურაძე**

## ქართველები ათენში

# ციდან ჩამოვარდნილივით მოვლენილი ქრისტინე

ATHENS 2004



ქრისტინე ესებუა საათენოდ უმზნებს

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკის

**მას მერე, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ქვეყანა ბევრმა სპორტსმენმა დატოვა და სხვათა სამსახურში ჩადგა. ამასთან, ასეთი ექსპორტის საფასურად ქვეყანა, ჩვეულებრივ, არავითარ კომპენსაციას არ იღებდა და აი, საათენოდ ერთი ოლიმპიელი ციდან ჩამოვარდნილივით მოულოდნელად მოგვევლინა ისე, რომ მისი აღზრდადაოსტატებისთვის აქამდე თავი არ შეგვიწუხებია. მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა უკრაინაში ცხოვრობდა და ახალგაზრდულ ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზე საკმაოდ წარმატებულად უკრაინისავე სახელით გამოდიოდა, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე კი საქართველოს წარგზავნილთა შორის იქნება. ქრისტინე ხობში დაიბადა, მერე აფხაზეთშიც ცხოვრობდა, მაგრამ ქვეყანა რომ აირია, ისიც მშობლებთან ერთად ლტოლვილებს შეუერთდა. მაშინ 8 წლისა იყო და ლვოვში დასახლდნენ**

— ლვოვში დედაჩემმა გაიკითხა-გამოიკითხა, აქ მშვილდოსნობის სექცია თუ არისო. იქვე თხუთმეტიოდე წუთის სავალზე ყოფილა. ასე აღმოჩნდი მშვილდოსნობაში. ეს 1996-ის მიწურულს იყო. თავდაპირველად მშვილდოსნობა დიდად არ მეპიტნავებოდა, მაგრამ მერე თანდათან ჩამითრია...

**— კი მაგრამ, დედამ მაინცდამაინც მშვილდოსნობა რატომ ისურვა?**

— თავადაც მშვილდოსანი იყო — აზა შონია. საქართველოში გამართულ შეჯიბრებებზე გამოდიოდა. მნიშვნელოვანი გამარჯვებები არ ჰქონია, მაგრამ მშვილდოსნობა ძალიან უყვარდა და გადაწყვიტა, ამ საქმეს შვილები ეზიარებინა. თითო და-ძმა მყავს, თუმცა, მშვილდოსნობაში ორივეს ვაჯობე და ამიტომაც ამ საქმეს მე შემოვრჩი.

**— სხვა სახეობაშიც ხომ არ მოგისინჯავს ძალა?**

— არა, მხოლოდ მშვილდოსნობაში ვვარჯიშობდი. თუმცა, საქართველოში ცხოვრებისას კარატეს სექციაში ამოვყავი თავი. მხოლოდ ერთი კვირა ვიარე. აქ მუსიკაზეც დავდიოდი, ფორტეპიანოზე ვუკრავდი. ეს საქმე ლვოვშიც გავაგრძელე, მაგრამ ბოლოს, როცა მშვილდოსნობაში პირველი წარმატებები მოვიპოვე, პიანინოს შევეშვი.

**— პირველ წარმატებებში რას გულისხმობ?**

— ლვოვში გამართულ იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებას „ოქროს შემოდგომა", რომელიც ვარჯიშის დაწყებიდან სამი წლის მერე მოვიგე. მანამდე იყო საქალაქო და უკრაინის პირველობები, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე წარმატება მაინც სულ სხვა იყო. „ოქროს შემოდგომა" მომდევნო, 2000 წელსაც მოვიგე და 2001-შიც. ამ წარმატებების მერე უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებშიც შემიყვანეს და 2000 წელს მსოფლიოს ჩემპიონატში გუნდური პირველობა მოვიგეთ, პირადში კი მეორეზე გავედი. ჩეხეთში ევროპის ახალგაზრდული თასის გათამაშებაში გუნდურ პირველობაში გავიმარჯვე, პირადში კი მეორე ვიყავი. მერე მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ, პირადში კი მეორეზე გავედი.

პირად პირველობაში მხოლოდ ერთხელ დავრჩი საპრიზო ადგილს მიღმა. მაშინ გერმანიის ქალაქ კილში გუნდურ პირველობაში კვლავ გავიმარჯვეთ, მე კი საკვალიფიკაციო შეჯიბრება მოვიგე, მაგრამ მერე როგორღაც მოვეშვი და მხოლოდ XIII ადგილზე გავედი.

**— ეტყობა, უკრაინაში მშვილდოსნობის საქმე საათივითაა აწყობილი და წარმატებებიც იოლად მოვიდა.**

— არც მთლად ასე იყო საქმე, ზოგჯერ რაღაც ისე არ გამომდიოდა, როგორც მარიგებდნენ ან მე მინდოდა. ზოგჯერაც უცხოურ შეჯიბრებებზე გასამგზავრებლად სავიზო პრობლემებიც მექმნებოდა. ასეთ დროს ხელის ჩაქნევასა და ყველაფრის მიტოვებაზეც ვფიქრობდი.

**— საქართველოს როგორღა დაუბრუნდი?**

— ევროპის ჩემპიონატზე ვერ წამიყვანეს და საშინლად განვიცადე. იმ დროისთვის სრულწლოვანი ვიყავი და პასპორტის აღება პრობლემა გამიხდა. ოფიციალურად უკრაინის მოქალაქეობაც კი არ მქონდა, უამისოდ კი ევროპის ჩემპიონატზე ვინ გამიშვებდა?! დედაჩემს საიდანღაც ხელში ჩაუვარდა ხობის გაზეთი, რომელშიც ეწერა, ჩვენთან დაბადებული ქრისტინე ესებუა უკრაინაში ცხოვრობს და იქ ასეთი და ასეთი წარმატებები აქვსო. ამის მერე დედაჩემმა დაადო თავი და თბილისში ჩამოვიდა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაკითხა და, თუ ცოტა ხელს გაგვიმართავთ, ქრისტინას აქ ჩამოვიყვან და საქართველოს სახელითაც გამოვაო. ასე დავბრუნდი საქართველოში.

**— მერედა, უკრაინაში როგორ შეგელიევნენ, თანატოლებში ხომ ევროპაშიც და მსოფლიოშიც ერთ-ერთი უძლიერესი ხარ, აქედან გამომდინარე — პერსპექტიული მშვილდოსანიც.**

— ერთი ამბავი ატყდა. მწვრთნელი მთლად გადამერია, სპორტსკოლაშიც სკანდალი იყო. აქ დასაბრუნებლად არავითარ საბუთს არ მაძლევდნენ, იქ რა გინდა, აქ დარჩი, შენთვის ასე აჯობებსო. ერთადერთი ჩემი პირადობის დამადასტურებელი საბუთი დაბადების მოწმობა იყო და ისიც სპორტსკოლის სეიფში ჩამიკეტეს. მერე დასაბრუნებლად მაშველი რგოლივით მომევლინა ბიზნესმენი გოდერძი ბუკია. ყველა პრობლემა მოაგვარა, აქ ჩამოსასვლელი თანხაც მომცა, მშვილდის შესაძენი ფულიც და ჩამოვედი.

**— აქ როგორ დაგხვდნენ მომავალი თანაგუნდელები? ნაკრებში მოხვედრა ხომ არ გაგიჭირდა?**

— არა, პირდაპირ ნაკრებში ჩამრიცხეს და ეგრევე ანთალიის „გრან პრიზე" გამოვედი. გუნდში რომ შემიყვანეს, ყველა კითხულობდა, კი მაგრამ, ეს ესებუა ვიღაა, საიდან გამოტყვრა, რა შეუძლიაო. ეს შარშან იყო. წლეულს კი იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გუნდური მესამე ადგილი ავიღე. მართალია, ამ წარმატებას არაოლიმპიურ დისციპლინაში მივაღწიეთ, მაგრამ მაინც საპრიზო ადგილი ავიღეთ, რამაც ძალიან გამახარა. მით უმეტეს, ის დღე, 19 მარტი, ჩემი დაბადების დღე იყო, ოლიმპიური ლიცენზია კი შარშან ნიუ-იორკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვიპოვე.

**— უკრაინაში რომ დარჩენილიყავი, ოლიმპიურ ლიცენზიას იქ თუ მოიპოვებდი?**

— რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ქვეყნის სახელით გამოვიდოდი. ლიცენზიას, რა თქმა უნდა, უკრაინის სახელითაც მოვიპოვებდი, მაგრამ იქ მთავარი პრობლემა ლიცენზია კი არა, ნაკრებში მოხვედრაა. უკრაინაში საამისოდ ძალიან დიდი კონკურენციაა. ლიცენზიის მოპოვება არათუ პირველი ნაკრების წევრისთვის, არამედ მეორე-მესამე შემადგენლობის შეჯიბრებებისთვისაც კი არაა პრობლემა.

**— ექაურ და აქაურ ფორმებს ხომ არ შეადარებდი?**

— რა შესადარებელია, ცა და მიწა! თბილისში საერთოდ არავითარი პირობები არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ქუჩაში ვვარჯიშობ, მშვილდს რომ მოვზიდავ და ცალი თვალით ვუმიზნებ, მეორე სხვაგან გამირბის, ემანდ ვინმე გზააბნეული არ გამოტყვრეს და კაცი არ შემომაკვდეს-მეთქი... თუმცა, იქვე არიან ჩემი და, მწვრთნელი და სხვებიც, რომლებიც იმ გზააბნეულთა გამოჩენისგან „სასროლეთს" იცავენ. ცხადია, ასეთ „სასროლეთზე" არც მშვილდის შესანახი ადგილია. ამიტომ წარმოიდგინეთ ჩემი და სხვების მდგომარეობაც, როცა მარშრუტკაში ავდივართ ისეთი მოუხერხებელი ბარგით, როგორიც მშვილდია.

**— მშვილდოსნობის გარდა რით ხარ დაკავებული?**

— ლვოვში იქაურ ფიზკულტურის ინსტიტუტში ვსწავლობდი. პირველი კურსი დავამთავრე, აქ ჩამოსულმა კი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში თავიდან დავიწყე სწავლა. მინდოდა, თქვენი კოლეგა გამოვსულიყავი და ჟურნალისტიკაზე მესწავლა, მაგრამ უარი მითხრეს, შენ სულ შეჯიბრებებზე იქნები და სწავლისთვის სად გეცლებაო. ისე, შარშან ბათუმში მპირდებოდნენ, ოღონდ შენ აჭარის სახელით გამოდი და, სადაც გინდა, იქ ისწავლე, ყველგან ხელს შეგიწყობთ, ბინასაც მოგცემთო, აქ კი უბინაოდ ვარ, უფრო სწორად, დიდუბეში მძლეოსნობის მანეჟში, „შეკარდენის" სასტუმროში ვცხოვრობ. ღამით მატარებლების გრუხუნი ჩამესმის, დღისით მანეჟში მოვარჯიშე მძლეოსნებს დავცქერი...

**ავთანდილ გურასაშვილი**

იმ დღეს ქრისტინე ესებუამ სულ ათიანებში მოარტყა

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკის

# ტურ დე ფრანსი 2004

REUTERS ანგარიდან

დაშავებულ-დაზაფრული ავსტრიელი რენე ჰასელბახერი

**მე-6 ეტაპი. 9 ივლისი**
**ბონევალი — ანშერი**

1. ტომ ბუნენი (ბელგია, ქუიქი) 4სთ 33წთ 41წმ
2. სტიუარ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) იგივე დრო
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, თი-მობაილი) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბულანი) 24სთ 37წთ 30წმ
2. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) +3წთ 1წმ
3. სანდი სესარი (საფრანგეთი, FDJ) +4წთ 6წმ

# ბრჭყალები გაიხსნა

## ლეგენდას ბორბლებით შესდგნენ

**ტურ დე ფრანსმა** ბრჭყალები გამოაჩინა — დამტვრეული ველოები, დაბზარული ძვლები და, რა თქმა უნდა, ბოლომად სისხლი. ტურის მე-6, 196-კილომეტრიანი ეტაპი საკალალო გამოდგა მონაწილეთა უმეტესობისთვის — ვინ მუხლები გადაიტყავა, ვის ცხვირიდან სისხლი წასკდა, წაქცეულ ჩემპიონ ლენს არმსტრონგს კი სულაც ყვითელმაისურიანმა ტომას ვეკლერმა გადაუარა.

„მე და არმსტრონგი ავარიაში მოვყევით, ის წაიქცა და ვშიშობ, ლენსს ფეხზე გადავუარე. ვიმედოვნებ, რომ ძალიან არ ეტკინებოდა, ალბათ მაპატიებს, ძალით არ მინდოდა. ტრასაზე ისეთი ორომტრიალი იყო, ვერაფერს გაიგებდი.“ — ამბობდა ვეკლერი და თან ალბათ გულში ფიქრობდა, ბედი მქონია, ამ ჯოჯოხეთში ყვითელი მაისურა რომ შევინარჩუნეო.

დიახ, ყვითელი მაისურა ისევ ვეკლერისაა, თუმც სხვა ლიდერებთან ერთად ფინიშამდე ვერ მივიდა. საქმე ისაა, რომ თუ რბოლის ლიდერებს ბოლო კილომეტრზე რამ იაღლიში მოუხდათ, რბოლა სულაც რომე არ გააგრძელონ, საერთო დავთარში მაინც იმდენი დრო დაერიცხებათ, რამდენსაც ეტაპის მომგები მოიმკის.

ეს წესი გასაგები მიზეზის გამო შემოიღეს ველორბოლაში. ფინიშთან ხომ ერთიორად მძაფრდება ლიდერთა დავა და, შესაბამისად, ავარიის ალბათობაც იზრდება. ჰოდა, მთელი პელოტონი რომ ამოყირავდეს, დაახლოებით ისე, როგორც გუშინ მოხდა, აუტსაიდერები რბოლას გამოთიშულ ლიდერებს საჩემპიონო ჰანდიკაპით ჩამოიტოვებენ საერთო ჩათვლაში.

სწორედ ამ წესმა იმოქმედა გუშინაც და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა პელეტონი „დაილუპა“, საერთო ჩათვლაში ბევრიც არაფერი შეცვლილა — ნაავარიალ ლიდერებს ეტაპის მომგები ბელგიელი ტომ ბუნენის ნაჩვენები დრო დაერიცხათ.

„მე მიყვარს ასეთი გიჟმაჟი რბოლები, ისინი მამაცი ხალხისთვისაა და მიხარია, რომ სწორედ აქ გამოვედი გამარჯვებული“ — ბაქიბუქობდა ბუნენი, ვინც, რომ არა ეს ზორბა ავარია, ნახავდა, რასაც მოიგებდა.

ყვითელი მაისურა იქით იყოს და, ავარია კინაღამ ტრაგედიით დასრულდა — ორი დღის წინ ყვითელი მაისურით მრბოლი რობი მაკივენი და რენი ჰასელბაშერი სერიოზული დაზიანებებით ჰოსპიტალში გააქანეს.

**ირაკლი პერტაია**

# ლენს არმსტრონგს ოლიმპიურ თამაშებს შვიდეზთან თამაში შრჩევნია

**ლეგენდარული** ლენს არმსტრონგი ოლიმპიური ოქროს გარეშე დაასრულებს თავის ბრწყინვალე კარიერას. 32 წლის ამერიკელმა ველომრბოლმა გუშინ საბოლოოდ გადაწყვიტა, ათენში არ მივდივარ, მთელი ძალები ტურ დე ფრანსს უნდა შევალიოო.

ოლიმპიადა დიდი შეჯიბრია, მაგრამ ველომრბოლთათვის ტურ დე ფრანსი ყველაფერია. ეს უპრესტიჟულესი შეჯიბრი არმსტრონგს ხუთჯერ მოუგია, მაგრამ მაინც არ ცხრება და საჩემპიონო პოდიუმზე მეექვსედ ლამობს ასვლას, რითაც აბსოლუტური რეკორდსმენი შეიქნება.

დღეს ტურ დე ფრანსზე მე-7 ეტაპია, 25 ივლისს კი რბოლა ელისეს მინდვრებზე დასრულდება. ოლიმპიადის საველორბოლო ტურნირი კი 14 აგვისტოს იწყება და არმსტრონგსაც ტურის შემდეგ ძალების აღსადგენად საკმარისი დრო ექნებოდა, მაგრამ... „მე არაერთხელ მირბოლია ოლიმპიადაზე, ვიცი ამ ტურნირის ფასი და თუ ასი პროცენტით არ ვიქნები მოტივირებული, არ მინდა, იმ ამერიკელ ბიჭებს გადავეღობო, რომლებსაც ოლიმპიადაზე გამოსვლა ოცნებად აქვთ — ამბობს არმსტრონგი — მიჯობს, შინ დავრჩე და დრო შვილებთან გავატარო.“

ასე რომ, დიადი ველომრბოლი უარს ამბობს საბერძნეთში ოლიმპიური ოქროსთვის ბრძოლაზე, თუმც მთლად უმედლოდაც არ რჩება. არმტსრონგს სამ აქამდელ ოლიმპიადაზე ურბოლია და 2000 წელს სიდნეიში ბრინჯაო მოუგია.

სიდნეიში არმსტრონგისგან ყველა ოქროს ელოდა, მაგრამ შეჯიბრის დაწყებამდე დღეები რომ რჩებოდა, ვარჯიშზე ავტომობილს შეეჯახა და კისრის ტრავმა მიიღო. თუმც ლენსი მაინც მოაჯდა ველოს და პრიზიორებშიც გაერია.

სიდნეიმდე კი არმსტრონგი მშობლიურ ატლანტურ ოლიმპიადაზე გამოვიდა და საერთო ჩათვლაში მე-12 ადგილზე გავიდა. მერე აღმოჩნდა, რომ ეს შედეგიც დიდი მიღწევა იყო, რაკი არმსტრონგი სათესლე ჯირკვლების სიმსივნით მართავდა ველოს. დაზაფრული ლენსი კარიერას, ცხადია, გამოეთხოვა და სიცოცხლესაც აუცილებლად გამოეთხოვებოდა, მომაკვდინებელ სენთან ბრძოლის არნახული ჟინი და შეუპოვრობა რომ არ გამოეჩინა.

არმსტრონგმა ექიმთა დახმარებით იმდენი მოახერხა, წყეული დაავადება საბოლოოდ დაამარცხა, მიჯრით ხუთი ტურ დე ფრანსი მოიგო და ახლაც ფრანგულ ტრასებზე დაქრის უნიკალური რეკორდის დასამყარებლად.

**ირაკლი პერტაია**





# F1

**XI ეტაპი** **ბრიტანეთის დიდი პრიზი**

## სილვერსტოუნი

*სილვერსტოუნი, 11 ივლისი*



**ტრასის სიგრძე** ---------- 5.141 კმ
**რბოლის დისტანცია** ---------- 60 წრე — 308.355 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 ბარიკელო (ფერარი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 მ. შუმახერი (ფერარი); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ტრული (რენო); 7 და მატა (ტოიოტა); 8 ბატონი (B.A.R.)

**წრის რეკორდი:** 2003 — ბარიკელო (ფერარი) 1.22,236 (225,1კმ/სთ)

**სილვერსტოუნში** თითქმის მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა. გუშინდელი თავისუფალი პრაქტიკა-ვარჯიშიც დამბალ ასფალტზე ჩატარდა და ამან, ბუნებრივია, შედეგებზე გავლენა იქონია.

ცნობისთვის, დღეს-ხვალაც შუაგულ ინგლისში სიგრილეს და ლამის თავსხმას ვარაუდობენ.

„სილვერსტოუნი“ სწრაფ ტრეკად ითვლება, ჩქაროსნულობით მესამეა იტალიურ მონცას და ბელგიურ სპა-ფრანკორშამის შემდეგ. „ვერცხლის ქვაზე“ გასასწრებად რამდენიმე ხელსაყრელი ადგილიცაა. მართალია, სველ ტრასაზე მანქანები ზღვრულ სიჩქარემდე ვერ გაქანდებიან, თუმც ასეთ პირობებშიც კი უპირატესობა ზემძლავრძრავიან ბოლიდებს ექნებათ. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის ბოლო ათ გათამაშებაში წარმატებას სამ-სამჯერ მიაღწიეს სწორედ სხვებზე ჯანიანებმა — „უილიამსმა“, „ფერარიმ“ და „მაკლარენმა“.

სადღეისოდაც სწორედ მათ აქვთ კონკურენტებზე ღონიერი „გულები“ და კიდევ, ფავორიტთა შორის მოიხსენიება „ბარ-ჰონდას“ 925-ძალიანი მოტორი, რომელიც თვით ჩემპიონ „ფერარისაც“ კი აღემატება 10-15 ცხენის ძალით.

კიდევ ერთი — დღევანდელ პილოტთაგან მხოლოდ სამნი შემდგარან ინგლისური პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე: მიხაელ შუმახერი და დევიდ კულჰარდი ორორჯერ, ერთხელაც რუბენს ბარიკელო. ხუთ-ხუთი გამარჯვებით კი რეკორდსმენები არიან ბრიტანელი ჯიმ კლარკი და ფრანგი ალენ პროსტი.

შარშანდელი რბოლა ჰეთ თრიქით (პოული, უსწრაფესი წრე, პირველობა ფინიშთან), რაც უძნელესი შესასრულებელია, ფერარელმა ბარიკელომ მოიგო. რუბინიომ გუშინდელ პირველ ვარჯიშზეც ყველას აჯობა, სამსაათიანი შესვენების შემდეგ კი უსწრაფესი კიმი რაიკონენის „მაკლარენი“ იყო — ფინელმა პილოტმა ხუთკილომეტრიანი წრე ხუან-პაბლო მონტოიას საპოულე რეკორდზე 0,3 წამით უკეთესად გაიქროლა. მას სულ მცირედ ჩამორჩა ჯანკარლო ფიზიკელა (ზაუბერი), მიხაელ შუმახერის სისხლისფერმა ბედაურმა კი ლიდერთან ნახევარი წამი წააგო. შემდეგ იყვნენ დევიდ კულჰარდი (მაკლარენის), ჯენსონ ბატონი (BAR), ბარიკელო, მარკ ჟენე (უილიამსი), იარნო ტრული (რენო), ტაკუმა სატო (BAR), ფელიპე მასა (ზაუბერი), მონტოია (უილიამსი), ფერნანდო ალონსო (რენო)...




REUTERS ნოსტალგიურიდან

კიმი რაიკონენის „მაკლარენს“ როგორც იჭნა, მეწინავეობა ეღირსა

REUTERS გშტაადიდან

REUTERS კარლოვი ვარიდან

# მთები და კინო

აჰა, შვეიცარიის მთები და ახალი ვილჰელმ ტელი. უიმბლდონის მომგები როჯერ ფედერერი. ახლა გშტაადში, ამ მთების ძირში შვეიცარიის ღია ჩემპიონატი მიმდინარეობს და უიმბლდონის გმირიც ამ ტურნირში ჩაბმულა. სხვა გაქანების ტურნირი მიმდინარეობს ჩეხეთში, კარლოვი ვარში, სადაც სალაღობო ჩოგბურთი საერთაშორისო კინოფესტივალს დაამთხვიეს. ეს მოხდენილი ფორპენდი კი ჩეხეთის პრეზიდენტს, ვაცლავ კლაუსს შესძლებია.



REUTERS ვიქტორიიდან

# სილვერსტოუნის წინ

ნორსჰემპტონში უკვე შეკრებილან მეფორმულენი, რომლებიც ხვალ სილვერსტოუნის გზაზე შეებრძოლებიან ერთმანეთს ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის. ბარის პილოტს, ტაკუმა სატოს ველოსიპედისთვისაც გამოუნახავს დრო.

REUTERS ნორსჰემპტონიდან

# ბოლო შეჯიბრებები

ახალი სარბენი ფორმები საათენად — კანადელმა მძლეოსნებმა გამოცდები დაიწყეს ვიქტორიაში, ბრიტანეთის კოლუმბიაში, სადაც ფორმის გამოცდა გამოცდად და, ასგზის მნიშვნელოვანი შესარჩევი გარბენებია. მსოფლიო რეკორდსმენ პერდიტა ფელსიენს კი თავის 100 მეტრზე მოცილე არ ჰყავს. ასეთივე შეჯიბრი საკრამენტოში აქვთ ამერიკელებს, რომლებიც მალევე დაასახელებენ თავიანთ გუნდს. ამ შეჯიბრთა წინ, დაბრკოლებებს თავად ჯოზი ჰანი ალაგებს ბილიკზე.

REUTERS საკრამენტოდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge